# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

12 თებერვალი
სამშაბათი
1991
№ 17
(11650)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


## ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად 1991 წლის 3 თებერვალს. № 78 ლენტეხის, № 88 აბაშის და № 125 ახალგორის საარჩევნო ოლქებში ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად.

ჩატარებული არჩევნების შედეგად:

№ 88 აბაშის საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **კონსტანტინე ფირცხალავა** — დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი.

№ 125 ახალგორის საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია **აკაკი მათიაშვილი**, ქართველ ტრადიციონალისტთა წევრი, წარადგინა საარჩევნო ბლოკმა — „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

№ 78 ლენტეხის საარჩევნო ოლქში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ამ ოლქში მოეწყობა ხელახალი ხმის მიცემა. დეპუტატის მანდატისათვის ბრძოლას განაგრძობენ **ზერდია გუგავა** და **ალვერდი ჩარქსელიანი** — დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატები.

საქინფორმი.

ლიტველებმა და ლიტვაში მცხოვრებმა სხვა ერთა წარმომადგენლებმა გამოხატეს თავისი ნება:

გსურთ თუ არა, რომ ლიტვა იყოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა— ლიტვაში სხვადასხვა ქვეყნის მეთვალყურეთა თანდასწრებით ჩატარებულ რეფერენდუმში მონაწილეთა 90 პროცენტმა ამ კითხვას უპასუხა—

## დიახ!

კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პრაქტიკულად ე. წ. ინტერფრონტელთა არცთუ მრავალრიცხოვანი ბანდა და მათი ანტილიტვური მოძრაობა „ცენტრის" მიერაა ორგანიზებული და ინსპირირებული.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა**

ქალაქ ტყიბულში — ბეჟან ბოგიტას ძე აბესაძე
თერჯოლის რაიონში — არჩილ ალექსანდრეს ძე მაკარიძე
აბაშის რაიონში — გიური ბრიგოლის ძე ცანავა
ლენტეხის რაიონში — ნოდარ ვიქტორის ძე ლიპარტელიანი

**შეგახსენებთ საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში გახსნილ საქართველოს მილიციის ფონდის ანგარიშის ნომერს — 000701301.**





სურათებზე: გასაწვევ პუნქტში; ისინი უკვე გვარდიელები არიან.
ვლ. ვალიშვილის ფოტოები. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ეროვნული გვარდია გიხმობთ...

„დღეს გამოჩნდება ვინ არის
ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო,
მამული".

ალბათ, გინახავთ წვევამდელის ჯარში გაცილება. აურზაური, ცრემლები, შიში და სევდა ახლდა მუდამ თან. სიხარული კი არასოდეს.

ეროვნული გვარდია... როგორ მოგვნატრებია ეს სიტყვები. ეს დღეებია სწორედ აქ იბადება გვარდია — თბილისში, ვ. ჯანჯღავას სახელობის სასწავლო ცენტრში. მისი „ნათლობა" კი უკვე შედგა: რამდენიმე დღის წინათ, მცხეთის მილიციასთან დაკავშირებული ინციდენტის გაშუქებისას წესრიგის დამცველთა შორის პრესამ და ტელევიზიამ ხომ ეროვნული გვარდიის რაზმიც მოიხსენიეს. მას გელა ლანჩავა მეთაურობდა. საერთოდ, გვარდიის მეთაურთა შემადგენლობაც ეს-„საა ყალიბდება. სასწავლო ცენტრის ერთ-ერთ ოთახში მათ ყველას ერთად მოუყრია თავი. გაცხოველებული საუბრობენ.

**გელა ლანჩავა:** — გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქმნება. მისი მთავარი პრინციპი მშვიდობიანობის, რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ინტერესების დაცვაა. ოფიციალურად გვარდიაში გაწვევა უზენაესი საბჭოს შესაბამისი დადგენილების შემდეგ დაიწყო. საერთოდ კი ორი წელია რესპუბლიკიდან გაწვევა არ ყოფილა. ახლა კი 18-25 წლის ახალგაზრდებს გვარდია უხმობს. აქამდე ჯარმოხდილთაგან შემდგარი ათასეული არსებობდა. მისი წევრები დღეს გვარდიის შექმნაში გვეხმარებიან. ჯერ-ჯერობით 300 ახალგაზრდა გავიწვიეთ, როგორც ვვარაუდობთ, მათი რიცხვი წლის ბოლომდე 12 ათასს მიაღწევს.

— პრობლემები, ცხადია, გვაქვს. — გვეუბნება ახლა სხვა. — მაგრამ მათ მოგვარებაში მთავრობა ყველანაირად გვეხმარება.

— ამას გაზეთში ნუ დაწერთ. —ამბობს მეორე, — 50-ჯერ ქა-

(დასასრული მე-3 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმემან ჩვენმან...

**მეაბრეშუმეობაში შექმნილია კრიზისული ვითარება. საჭიროა დარგისადმი ახლებური მიდგომა, წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემების სპეციალური შესწავლა და მათ გადასაჭრელად საგანგებო ღონისძიებების გატარება. დღეიდან გაზეთი ამკვიდრებს ახალ რუბრიკას — „მეაბრეშუმეობა: წარსული-აწმყო-მომავალი...“ რუბრიკის მთავარ მიზნად დარგის გადარჩენისათვის პრაქტიკული წინადადებების მოძიებასა და შემუშავებას ვსახავთ.**

**ველით თქვენს გამოხმაურებას, კონკრეტულ მოსაზრებებს და წინადადებებს.**

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — სულ უფრო ძლიერად გაისმის საქართველოს კიდით კიდემდე. მაგრამ აქვე ფეხს იკიდებს კოლონიური ეკონომიკით ნაშობ-ნაზარდი ცვედანი აზრიც: „შევძლებთ კი თავის თავის რჩენას?“... ეს ჩვენი ისტორიისა და მიწა-წყლისათვის სამარცხვინო კითხვა ცარიელი რიტორიკაა რომ არაა, ცხოვრების ნებისმიერ სფეროში დღეს ამას ყველა თვალნათლივ ვხედავთ...

**ისიც ნათელია, რომ ქველმოქმედებით შორს ვერ წავალთ: მხოლოდ ეროვნული ეკონომიკა გამოიყვანს ხალხსაც და ქვეყანასაც დეპრესიული მდგომარეობიდან, სულ უფრო მზარდი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან, მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამ ჩვენს მხსნელ ეროვნულ ეკონომიკას?**

მსოფლიო და ჩვენი ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეროვნული ეკონომიკის ფორმირების ერთადერთი სწორი გზა მისი ბუნებრივ-ისტორიული განვითარების უზრუნველყოფაა. ამასთან, ეროვნული ეკონომიკაც და მისი დარგობრივი სტრუქტურებიც მხოლოდ ადგილებიდან — რეგიონალური ეკონომიკების ტრადიციული დარგების განვითარებით კონსტრუირდება.

**საქართველო, მისი ხალხი და ბუნება რეგიონალურ თავისებურებათა სამოთხე, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში უნიკალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ჩვენი მთისა და ბარის ეს დიდი პოტენციური სიმდიდრე კვლავ ერის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ. ათასეულ წლებში ფორმირებული ტრადიციული სამეურნეო დარგები ჩვენგან აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას თხოულობენ თავ-თავიანთ რეგიონალურ გენოფონდთან ერთად.**

საქართველოს ერთ-ერთ ასეთ დიდმნიშვნელოვან ტრადიციულ დარგს მეაბრეშუმეობა წარმოადგენს. მას 2000 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. ხოლო გრემი და ზეგამი „აბრეშუმის დიდი გზის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს წარმოადგენდნენ მაშინდელ მსოფლიოში.

**მეაბრეშუმეობა პრაქტიკულად საქართველოს ყველა რეგიონში შეიძლება განვითარდეს და ამდენად თავისი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური ღირებულებებით ჩვენი ქვეყნის გენოფონდის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ეროვნულ განძს შეადგენს. მას ასეულ მილიონობით ვალუტის მიცემა შეუძლია ქვეყნისათვის. ამიტომ მისი ხელყოფა-შევიწროება ერის ღალატია, მითუმეტეს სრულიად გაუგებარი და მიუღებელია, რომ იგი ისევ იმ სტრუქტურებსა და სამეურნეო ბიუროკრატიის ხელში დარჩეს, რამაც მისი ძველი დიდებიდან დღეისათვის ჩრდილიც კი აღარ დატოვა.**

**მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აბრეშუმის წარმოების ყველაზე იდეალურ ფორმებს კერძო-გლეხური, სასოფლო (ოჯახური) კოოპერაცია და სააქციო საზოგადოება წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ საქართველოში მეურნეობრიობის ამ პრინციპების სხვადასხვა სახესხვაობებს მეტ-ნაკლებად ყოველთვის ვხვდებით. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უკანასკნელმა სესიამ მეურნეობრიობის ამ ფორმებზე გაამახვილა ყურადღება. ამრიგად, დღეისათვის არსებობს ყველა პირობა თვისებრივად ახალი სამეურნეო-ორგანიზაციულ პრინციპებზე გადავიყვანოთ აბრეშუმის პარკის წარმოებაც და მისი გადამუშავების მთელი ციკლი. მთავარია, რომ „დღემეხვალიე“ კაცივით განუწყვეტლივ არ გადავდოთ იგი, მითუმეტეს, რომ საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები გვპირდებიან ოპერატიულ დახმარებას როგორც პებრინთან და ფოთლის „ხუჭუჭას“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვაში.**

პრესაში რამოდენიმეჯერ დაიბეჭდა წერილები ქართული აბრეშუმის პრობლემებზე, რომელთაც ფართოდ გამოეხმაურნენ სპეციალისტებიც და სხვა დაინტერესებული პირებიც. ბევრი მათგანი აღშფოთებით წერს იმ ბიუროკრატიულ ბარიერებზე, რომლებიც აფერხებენ მეაბრეშუმეობის განვითარებას. მაგალითად, ხონელი ვეტერანი მეაბრეშუმე ოლია კინწურაშვილი დაწვრილებით აღწერს იმ განუკითხაობას და „მიწერების“ დამღუპველ პრაქტიკას, რის მხილებისათვის სისტემის აპარატმა ადგილზეც და ცენტრშიც, მას ნამდვილი დევნა მოუწყო. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ბესიკ საკანდელიძე გულისტკივილით წერს იგივე აპარატის დანაშაულებრივ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობაზე, რის შედეგად საქართველოში გავრცელდა აბრეშუმის ჭიის ყველაზე საშიში დაავადება — პებრინი. მან შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს თვით მეაბრეშუმეობის შემდგომი არსებობა საქართველოში. ამ საშიშროების რეალურობაზე ლაპარაკობს ჭიის მასობრივი დაღუპვის დამაფიქრებელი ინფორმაციები ვანიდან, ტყიბულიდან, ლაგოდეხიდან, სიღნაღიდან, თელავიდან...

**ისეთ ვითარებაში, როცა წყდება ჩვენი ეროვნული ცხოვრების ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო დარგის ყოფნა-არყოფნის ბედი, ჩვენ, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოვუწოდებთ ყველას გულთან ახლოს მიიტანოთ მეაბრეშუმეობის აღორძინების საქმე. სიტყვას მაშინ აქვს ფასი, როცა მას მოჰყვება საქმე. ჩვენი ეს მოწოდებაც ცარიელ სიტყვად რომ არ დარჩეს, ჩვენს თავზე ვიღებთ პასუხისმგებლობას გავხდეთ სააქციო საზოგადოება „ქართული აბრეშუმის“ დამფუძნებელი წევრები და ყველა შესაძლებლობით ვეცდებით ამ ტრადიციული დარგის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას. უახლოეს ხანში გამოვაქვეყნებთ სააქციო საზოგადოების წესდებას, რომლითაც განზრახული გვაქვს აბრეშუმის წარმოების ერთიან ტექნოლოგიურ პროცესში მოსახლეობის რაც შეიძლება ფართო ფენების ჩაბმა. ჩვენი მიზანია, რომ მომავალში ყველა ქართული ოჯახი ამ დარგის აქციონერი გახდეს: ეროვნული ეკონომიკაც და ეროვნული სიმდიდრეც ეროვნულმა ძალებმა უნდა შექმნან.**

**ლევან სანიკიძე**
**აკაკი მათიაშვილი**
**ელგუჯა ბატიაშვილი**
**ჯონდო ბარდაველიძე**
**ვახტანგ გოგალიშვილი**
**ზანდრო დარჩიაშვილი**
**ვანო მჭედლიშვილი**
**გიორგი გაჩეჩილაძე**
**გვანჯი მანია**
**გიორგი ზვიადაძე**
**ალექსანდრე დიდებულიძე**
**თამაზ ჭიჭინაძე**

# დიალოგი მეორე

**— ბატონო სულიკო, ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ერთიც ვნახოთ და სადამ ჰუსეინის ფანატიზმის წყალობით ერაყმა მასობრივი განადგურების იარაღი (კერძოდ ბაქტერიოლოგიური) გამოიყენოს. თქვენი აზრით, რა სახის სიძნელეებს მოუტანდა ჩვენს მოსახლეობას ეს ბარბაროსული აქტი?**

— ძალზე ძნელი და რთული კითხვაა, უსასრულოდ შეიძლება ამ პრობლემის ირგვლივ საუბარი. ალბათ, ამთავითვე უნდა ითქვას, საეჭვოა ერაყს ჰქონდეს თვისებრივად ძალზე მაღალხარისხოვანი, თანამედროვე იარაღი. საერთოდ, ყოველგვარ მსჯელობას მაშინ უფრო ექნება მეცნიერული პროგნოზის სახე, როცა ცნობილია გამოყენებული ინფიცირებული მიკრობები, ტოქსინები, ვირუსები და ა. შ. ხოლო თუკი ასეთი ჯერ ცნობილი არ არის, მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა შეიძლება საკმაოდ ზოგადი გამოვიდეს და თუ უფრო ზუსტადაც ვიტყვით, მარჩიელობას დაუახლოვდება...

აქედან გამომდინარე, თქვენი შეკითხვა აუცილებლად ბადებს ე. წ. „კონტრშეკითხვებს“, თუნდაც ასეთებს: ჯერ ერთი გააჩნია რა რაოდენობის და თვისებრივი შემადგენლობის ბაქტერიოლოგიური იარაღი იქნება გამოყენებული; მეორე — გააჩნია როგორი მეტეოროლოგიურ და კლიმატურ ფონზე მოხდება იარაღის გამოყენება; მესამე — გააჩნია რა სახის ორგანიზებულობას დაუპირისპირებს ჩვენი მოსახლეობა და ა. შ. ასე რომ, ერთი კინო-გმირისა (ჭკუის კოლოფასი) არ იყოს — „გააჩნია რა შემთხვევაში!“

**— რა სახის მუშაობა შესრულდა ან არის შესასრულებელი თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების ფარგლებში იმ მიმართებით, რათა შესაძლო გართულებათა შემთხვევაში თავიდან იქნეს აცილებული ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელყოფა?**

— ჯერ კიდევ 18 იანვარს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში გაიმართა სპეციალური სხდომა, სადაც შეიქმნა სამოქალაქო თავდაცვის შტაბი და განისაზღვრა ცალკეული სამსახურების ამოცანები. კონკრეტულად, ჩვენი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მიზანია. მთელს რესპუბლიკაში გაშალოს ლაბორატორიული დაკვირვებებისა და კონტროლის ქსელი და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობა უზრუნველყოს სათანადო აცრებით, ანტიბიოტიკებით, ვაქცინებით და ა. შ. უნდა ითქვას, დღეს რესპუბლიკას მომარაგებული აქვს სხვადასხვა სპეციფიკური, პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული საშუალებანი.

სამწუხაროდ, ჩვენს სისტემაში არსებული ლაბორატორიების დაახლოებით მხოლოდ თორმეტ პროცენტში შეიძლება ჩატარდეს ანალიზები კვალიფიციურ დონეზე. ამის მიზეზია, როგორც სათანადო აღჭურვილობის (აპარატების, მიკროსკოპების...) სიძველე, ისე ის ფაქტიც, რომ ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როცა ცალკეული შორეული რაიონებიდან სხვადასხვა ლაბორატორიული სინჯები თბილისში ჩამოგვაქვს და აქ ვახდენთ ანალიზს. რასაკვირველია, ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული — ჯერ ერთი გვიანდება პასუხი, და თანაც არც საამისო ბენზინი გაგვაჩნია ყოველთვის.

**— ბატონო სულიკო — რაიმე სურვილს ან წინადადებას ხომ არ გაგვიზიარებთ?**

— ქართველებს გვაქვს ანდაზა — „საბანი როგორც გაგწვდეს, ისე დაიფარეო“. მე ეს ანდაზა შემიძლია შევიწყნარო, როცა საქმე ეხება, დავუშვათ... ჩაცმა-დახურვას, ან ფუფუნების საგნების შეძენას... ან იმპორტული ავეჯის შეძენას... მაგრამ, მერწმუნეთ ერთობ ძნელი მოსასმენია ეს ანდაზა, როცა საქმე ადამიანთა ჯანმრთელობას ეხება... ბევრჯერ მომხდარა, მეც, რომელიმე ჩემს კოლეგა ექიმსაც დაგვიყენებია ესა თუ ის საჭირბოროტო საკითხი, მაგრამ ამ მაგიური ანდაზით განუვიარაღებივართ. ამჯერად მე ასეთ საკითხს ვაყენებ: საჭიროა და აუცილებელია რესპუბლიკის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის (აქვე ვიტყვი, რომ ასეთი დანიშნულების ლაბორატორიები, გააჩნიათ აგრეთვე სახელმწიფო მრეწვს, ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირს და ზოგიერთ სხვა უწყებას) სტრუქტურისა და მუშაობის შინაარსის რადიკალური შეცვლა... ჩვენ ხომ ჯერაც ბევრჯერ ცენტრის მიერ დაშვებული ინსტრუქციებისა და დირექტივების ტყვეობაში ვართ.

იმედს გამოვთქვამ სპარსეთის ყურის კონფლიქტი გამოგვაფხიზლებს და ბევრ მტკივნეულ საკითხს სხვა თვალით შეგვახედებს, სამწუხაროდ, ჩერნობილის ტრაგედიამ მხოლოდ დაგვაფიქრა რიგ საკითხებზე, მაშინ როცა არც დასკვნების გამოტანა და დღევანდელობისათვის ფეხის აწყობა გვაწყენდა.

დაბოლოს, საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას მივაწვდით ჩვენს კოორდინატებს, რათა საჭიროების შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ.

**თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, №28, რესპუბლიკის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, ტელეფონი: 37-12-84, 37-06-57, 37-27-12. აგრეთვე, თბილისი, მიცკევიჩის ქ. № 29, საქალაქო სანეპიდსადგური, ტელეფონი: 37-79-34, 37-70-76, 37-60-80.**

**ესაუბრა გელა გარაყანიძე.**

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა

# ჩვენ და ახლო აღმოსავლეთის მოვლენები

**სპარსეთის ყურეში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით („ახალგაზრდა ივერიელი“, 2 თებერვალი, 1991), ჩვენი რესპუბლიკის მრავალ სამინისტროს თუ უწყებას ახალი, დამატებითი საზრუნავი გაუჩინა. ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმი ბატონი სულიკო კირთაძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისწავლოთ ჩვენი ისტორია

# ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის საკითხისათვის

**1922 წლის** 20 აპრილს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოიცა დეკრეტი საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, რომლის ცენტრად, მიუხედავად ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგობისა, გამოცხადდა ქ. ცხინვალი (ვ. ეზუხბაია. საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1928-1939 წწ.), თბ., 1973 წ., გვ. 2).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ლიტერატურასა თუ ჟურნალ-გაზეთების პუბლიკაციებში (განსაკუთრებით 1989-1991 წწ.), აგრეთვე სატელევიზიო გამოსვლებსა და მიტინგებზე, აღნიშნული ავტონომიური ოლქის ტერიტორია მოხსენებულია, როგორც შიდა ქართლის ნაწილი ან უმეტესწილად, სამაჩაბლო.

საქმეში ჩაუხედავი ფართო მკითხველის გასარკვევად ჩვენ შევეცდებით მეტი სინათლე შევიტანოთ აღნიშნულ საკითხში.

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში შეყვანილ იქნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გარკვეული ნაწილები:

I. მითითებული ოლქის უმეტესი ნაწილი ისტორიული **შიდა ქართლის** ტერიტორიას მიეკუთვნება. შიდა ქართლი, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის **ქართლის** ნაწილია.

რიგითი მკითხველ-მსმენელის გარკვევის მიზნით უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს ჯერ მთლიანად **შიდა ქართლისა** და შემდეგ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქად წოდებული ერთეულისათვის მიზომილი მისი ტერიტორიის საზღვრები.

ლეონტი მროველის მიხედვით, შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას „ტფილისითგან და არაგვითგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარადმდე" (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955 წ., გვ. 24). ლეონტი მროველისავე განსაზღვრა დასდებია საფუძვლად შიდა ქართლის შესახებ წარმოდგენას გვიანდელ წყაროებში და მისივე მითითებით, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება **ზენა-სოფელია** (ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 22).

საქართველოს ახლანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შიდა ქართლი მოიცავს გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს; ისტორიულ შიდა ქართლს მიეკუთვნება ყოფილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს ცხინვალის, ლენინგორის, ზნაურის რაიონები და ჯავის რაიონის ტერიტორიის ნაწილი (და არა მთლიანად ჯავის რაიონი, როგორც ეს მითითებულია, მაგალითად, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, 10, თბ., 1976, გვ. გვ. 466, 744), რამეთუ შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას: აღმოსავლეთით მდ. არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, სამხრეთით ფარავნის ტბამდე (ქსე, 10, 744), ან სხვანაირად რომ ითქვას, ჩრდილოეთით კავკასიონის ცენტრალური ქედი ასაზღვრავს შიდა ქართლს, დასავლეთით — ლიხის ანუ სურამის ქედი, სამხრეთით — თრიალეთის ნაოჭა სისტემის ჩრდილო ფერდობები; აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით იგი შემოსაზღვრულია საგურამოსა და ქართლის ქედებით. ე. ი. შიდა ქართლი — ზენა სოფელი გულისხმობდა მტკვრის როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სანაპიროს (ჯ. გვასალია. დასახ. ნაშრ., 22).

ჯავის რაიონის ტერიტორიის იმ ნაწილზე, რომელიც შიდა ქართლს არ მიეკუთვნება, საუბარი იქნება ქვემოთ.

ისტორიულ შიდა ქართლს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. ის იყო ქართველურ ტომთა კონსოლიდაციის ცენტრი. მის ტერიტორიაზე მოხდა ჯერ აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ხოლო შუა საუკუნეებში მის ირგვლივ მიმდინარეობდა საქართველოს ერთიან ფეოდალურ მონარქიად წარმოქმნის პროცესი (ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრ., 3) და ამიტომაცაა იგი განსაკუთრებულად ძვირფასი ქართველისათვის.

ძვ. წ. მე-4-მე-3 სს. მიჯნაზე, როდესაც მეფე ფარნავაზმა ქვეყანა დაჰყო საერისთავოებად, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო. ადრეფეოდალურ ხანაში შიდა ქართლი კვლავ ქართლის საერისთავოში შედიოდა და დაყოფილი იყო ხევებად ანუ ისტორიულ-გეოგრაფიულ თემებად.

მე-13 ს. შუა ხანებიდან — საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების შემდეგ (ჯალალ-ედ-დინისა და ძირითადად მონღოლთა შემოსევების შედეგად) მე-15 ს. მიწურულს ერთიანი საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. სამეფოებში წარმოიშვა სათავადოები. ქართლის საერისთავოს დაშლის შემდეგ შიდა ქართლში გაჩნდა სათავადოები — ქსნის საერისთავო (მე-13 ს.), არაგვის საერისთავო (მე-14 ს.), საციციანო (მე-14 ს. მიწურულს), საამილახვრო (მე-15 ს.), სამაჩაბლო (მე-15 ს.), საჯავახო (მე-15 ს.), სამუხრანბატონო (მე-16 ს.). მათ გარდა იყო მრავალი მცირე სათავადო (ჯ. გვასალია. დასახ. ნაშრ., 62).

შიდა ქართლის ზემოთ ჩამოთვლილი ერთეულებიდან ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ში შეყვანილ იქნა ქსნის საერისთავოსა და სამაჩაბლოს უმეტესი ნაწილი და საამილახვროს ზოგიერთი სოფელი:

ა) ქსნის საერისთავო ჯერ მოიცავდა ქსნის ხეობის ზედა წელს — კერძოდ, ცხრაძმისხევს, მდ. მდ. ლეხურის, მეჯუდისა და პატარა ლიახვის ზედა წელს. შემდგომში მან შეიერთა თრუსო და მთიულეთის არაგვის მარჯვენა სანაპირო მთიულთკარამდე. აგრეთვე ქსნის ხეობის შუა წელი (შემდეგ პერიოდში პირველი ორი დაკარგა). მე-15-მე-18 სს. ქსნის ერისთავებმა შეიერთეს დიდ ლიახვზე სავახტანგოს ნაწილი და გვერდისძირი. მე-18 ს. ქსნის საერისთავოს საზღვარი ოძისამდე ჩამოდიოდა, ხოლო შემდეგში უფრო ქვემოთ ჩამოიწია: აღმოსავლეთით ქსნის საერისთავოს საზღვარი ლომის-ალევის ქედზე გადიოდა და მას არაგვის საერისთავოსაგან გამოყოფდა, შემდეგ საზღვარი მისდევდა ლოწობნის მთებს, გადიოდა ჯვარისუბანზე, დელკანზე, სარბიელზე, ნადომევზე, კოდისწყაროზე, ილტოზასა და ოძისზე. სამხრეთ-დასავლეთით საამილახვროსთან საზღვარი გადიოდა თეზიდან ჩრდილო აღმოსავლეთით — ლამისყანა, ახმაჯი, ბოლი, ერედა, ყანჩაეთი, ზახორი, რეხა, მეჯვრისხევი, ახალუბანი, ფლავისმანი, კარალეთი, ტყვიავი. დასავლეთის საზღვარი მიემართებოდა ტყვიავიდან პატარა ლიახვისაკენ და ფალავანდიშვილების სამფლობელოსა და სავახტანგომდე აღწევდა. ჩრდილოეთით ქსნის საერისთავო დვალეთსა და თრუსოს ესაზღვრებოდა (ჯ. გვასალია. დასახ. ნაშრ., 77).

უძველესი დროიდან ქსნის საერისთავოს ტერიტორიის მოსახლეობა ქართული იყო, რაზედაც მიუთითებს ქართული წარმოშობის ტოპონიმები (ჯ. გვასალია. შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის, მაცნე, I, თბ., 1976, გვ. 145).

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით საქართველოში ოსთა ჩამოსახლება იწყება მონღოლთა შემოსევების შემდეგ — მე-13-14 სს: ისინი ესახლებიან ჯერ მდ. ლიახვის, შემდეგ ლეხურის, მეჯუდისა და ბოლოს — ქსნისა და არაგვის სათავეებში (დ. გვრიტიშვილი. დვალთა ვინაობის საკითხისათვის, მიმომხილველი, I, 1949 წ.; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13-14 სს., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 6, 1938; გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958.). მე-13 ს-დან ოსთა ჩამოსახლების აზრი უარყოფილია ვ. გამრეკელის მიერ (ვ. გამრეკელი. საქართველოს ისტორიიდან მე-13-14 სს. მიჯნაზე, მრავალთავი, თბ., 1975, 165-197); ჯ. გვასალიას მითითებით, უტყუარი ცნობები საქართველოში ოსთა კომპაქტური მოსახლეობის არსებობის შესახებ მოიპოვება მე-17 ს. დამდეგიდან (დიდი ლიახვის სათავეში მაღრან-დვალეთში, აგრეთვე ზახაში — დვალეთში). (ჯ. გვასალია. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის საკითხისათვის, მაცნე, 3, 1990, 11).

ბ) მდ. ლიახვის შუა წელზე მდებარეობდა ფეოდალური ერთეული — **სამაჩაბლო**. იგი მეცნიერთა ვარაუდით უნდა წარმოშობილიყო მე-15 ს-ში ადრეფეოდალური ხანის აჩაბეთის ხევის საფუძველზე. აქ მოსახლეობდნენ ქართველები... მე-17 ს. მეორე ნახევარში ბაადურ მაჩაბელს ოსებით დაუსახლებია ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში მეფის ხელისუფლების კუთვნილი ამოწყვეტილი მიწები — სოფლები. გვიანდელი მონაცემებით სამაჩაბლო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა ლიახვის ხეობა ცხინვალ-დგვრისის ხეობიდან როკამდე, დვალეთში — ზროგოს ხეობა (ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზეა — გ. ჩ.) და მდ. ყვირილასა და დვანის წყლის სათავეები (მდ. ყვირილას სათავე კუდაროშია გ. ჩ.). სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავოს მამულები, სამაჩაბლოს უკიდურესი სამხრეთი სოფელი ყოფილა დგვრისი, სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით — რაჭის საერისთავო, ჩრდილოეთით მაჩაბელთა ძალაუფლება დვალეთამდე აღწევდა. 1818 წლის კამერალური აღწერით მაჩაბლების მფლობელობაში შედიოდნენ სოფლები: ჭვრივი, ტონტაბეთი, ჯავა, ქვემო ხვცე, ზემო ხვცე, სხლები, გვერწევი, ზავდა (მავდა), კახირი, ახალსოფელი, ჭრია, ბარცვა, ბუზალა, კოდიბინა, გუფთა, ნინეკოვა (ალბათ ნინეყაუ — გ. ჩ.), მორგო, მუგუთი, ბარგნისი, კრყა, შაშხაური, თასბანი, ჩივკინა, თლიაყანა, ქოთანთა, სოხო, მძივი, კოშკა, ელბაქიძე, თაფანა, ნაზღინა, ორჯუარი, ჯომაღი, სომხიანი, ბუზათი; ქეშელთის ხეობის სოფლები; დამწვარა, ცაგათი, კოლა, ქეშელთა, ხუთათი, თხელჩო, მარიამი, ჩაგატი, ყემულთა, ჯავისთავი, თლი, მაცხოვარი, ზამთარეთი, წონა, ერწო, როკა, ყორნისი, რუსთავი, თორმანეულო, აგრეთვე ზროგოს ხეობის სოფლები (ჩრდ. ოსეთშია — გ. ჩ.) და სხვ. (ჯ. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს..., 26, 113-114).

შიდა ქართლის ტერიტორიიდან, როგორც ზემოთაც ითქვა, სწორედ ქსნის საერისთავოსა და სამაჩაბლოს ტერიტორიების უდიდესი ნაწილი შევიდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ში და ამიტომაც შევჩერდით მათ დახასიათებაზე უფრო დაწვრილებით. ოლქში არ შესულა ჩამოთვლილ სოფელთაგან ზოგიერთი, მაგ. ლამისყანა, ფლავისმანი, კარალეთი, ტყვიავი, მეჯვრისხევი, აგრეთვე კავკასიონის ქედის გადაღმა — ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ზროგოს ხეობა.

გ) სამხრეთ ოსეთის აო-ში შევიდა ამილახვართა კუთვნილი ის სოფლებიც, რომლებიც ქსნის საერისთავოს ტერიტორიაში იყო შეჭრილი — მაგ. ახმაჯი, ბოლი, ზახორი ამილახვრებს ეკუთვნოდათ (დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, 71-72).

ქსნის ხეობისა და საამილახვროს ზემოთ ჩამოთვლილი სოფლები გაერთიანდა ახალგორის რაიონში; სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შეიქმნა ცხინვალის, ზნაურისა და ჯავის რაიონები. ჯავის რაიონში გარდა შიდა ქართლის ტერიტორიის ნაწილისა შევიდა ქვემოთ მოტანილი შემდეგი ტერიტორიები:

II. სამხრეთ-ოსეთის აო-ს იყო მიკუთვნებული „მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა" **კუდარო**, რომელიც მდ. რიონის მარცხენა შენაკად მდ. ჯეჯორის ზემო წელს მოიცავს (რაჭის ქედის დასავლეთით). იგი რაჭისა და შიდა ქართლის შემაერთებელია (თ. ბერაძე. რაჭა. თბ., 1983, 39).

დღემდე მოღწეული ცნობებით არ ხერხდება იმის დადგენა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს პატარა ქვეყანა შუაფეოდალურ ხანაში — რაჭის ერისთავს თუ ქართლისას. წერილობით წყაროებში იგი პირველად მოხსენიებულია ზემო რაჭის ს. სორის ჯვარცმის ეკლესიის სახარების მე-16 ს. მინაწერში („ერთი ზროხა კუდაროს ბეგრისაგან"), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროს იგი რაჭის ერისთავის მფლობელობაშია (თ. ბერაძე. დასახ. ნაშრ., 77, 84). ვახუშტი ბაგრატიონი კუდაროს აღწერისას ტექსტში ასახელებს ს. წონას მხოლოდ, რუკებზე კი დატანილია სს. კუდარო, ზემო კუდარო, გულოვანთა (ქართლის ცხოვრება, 4, თბ., 1973).

გვიანფეოდალურ ხანაში წყაროების მიხედვით კუდაროში ჩანს ოცამდე სოფელი: აბანო, არაშენდა, გულიანთა, დიდი ბოყა, ზამთარეთი, კობიანთა, ნადარბაზევი, ჯავისთავი, ჯაჭნარა და სხვ. თავდაპირველად კუდარო დასახლებული იყო ქართველებით, მაგრამ მე-16 თუ მე-17 საუკუნეში — თ. ბერაძის აზრით — მშვიდობიანი გზით დასახლებულა ოსებით (თ. ბერაძე. დასახ. ნაშრ., 84). ბ. კალოევის აზრით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ოსთა ჩამოსახლება თავდაპირველად მოხდა მდ. დიდი ლიახვის აუზსა და მდ. ჯეჯორისა და ღრომულის აუზებში. რადგან კუდარო ახლო შეხებაშია ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობასთან, ძირითადად იქიდან ხდებოდა ოსთა ჩამოსახლება კუდაროში, რაც ავტორის აზრით უნდა მომხდარიყო მე-15-16 სს. (Б. Калоев, Осетины, М. 1967, 58), თუმცა დასაბუთება არ არის მოცემული. გვიანფეოდალურ ხანაში, როგორც ითქვა, კუდარო რაჭის ერისთავს ემორჩილებოდა და მასზე ბატონობის უფლებას ჯაფარიძეთა გვარი ჩემულობდა (თ. ბერაძე. დასახ. ნაშრ., 84). რაჭის ერისთავების დამხობის (1769 წ.) შემდეგ კუდარო უკვე იმერეთის მეფის საკუთრება გახდა, თუმცა მასზე პრეტენზიას აცხადებდა ქართლის სამეფოც. რადგან ვახტანგ მეექვსის 1711 წ. ოსეთზი ლაშქრობისას ის მხარეც დაულაშქრავს და შემოუმტკიცებია. რა პირობებში დაკარგა ქართლის სამეფომ კუდარო არ ჩანს (გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა მე-15-მე-18 საუკუნეებში. თბ., 1969. გვ., 161). კუდარო რაჭის შემადგენლობაში დარჩენილა 1810 წლამდე — დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (თ. ბერაძე, დასახ. ნაშრ., 84). როგორც ზემოთ ითქვა, 1818 წ. კამერალური აღწერებით, კუდაროს სოფლები წონა, ერწო და სხვ. მაჩაბლების მფლობელობაშია. გასული საუკუნის მეორე ნახევარში კუდარო შედიოდა რაჭის მაზრაში. სამხრეთ ოსეთის აო-ს შექმნის შემდეგ კუდარო შეყვანილ იქნა ჯავის რაიონში. ეს კუთხე მთლიანად ოსური მოსახლეობით არის წარმოდგენილი.

III. ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ში შევიდა მდ. ყვირილას ზემო წელიც (ქართულ-ოსური მოსახლეობით), რომელიც ისტორიული ზემო იმერეთის ტერიტორიას ეკუთვნის. მდ. ყვირილა კუდაროში, ერწოს ტბიდან იღებს სათავეს, მაგრამ მალევე გადაკვეთს რაჭის ქედს და გადადის იმერეთის ტერიტორიაზე. სწორედ აქედან მოყოლებული ვიდრე ს. პერევამდე (მის ბოლომდე) მდ. ყვირილის ხეობა თავისი შენაკადების მიმდებარე ტერიტორიებით შეყვანილ იქნა სამხრეთ ოსეთის აო-ში. ეს კუთხე ვახუშტი ბატონიშვილის მოღვაწეობის დროს (მე-18 ს. შუახანებში) სრულიად დაუსახლებელი, უფრო სწორად, ქართველებისგან დაცლილი იყო. ავტორის თქმით „ჭალიდამ წონამდე. (ს. წონა კუდაროშია — გ. ჩ.) არარა არს შენობა გარნა ყოფილა შენობანი...", სადაც ჩანდნენ ეკლესიანი და ნადაბარნი (ქართლის ცხოვრება, 4, თბ., 1973 წ. 76). ეს ადგილები თავად აბაშიძეებს (ს. ჭალიდან) ეკუთვნოდათ და მისი გაუკაცრიელების შემდეგ აქ კუდაროელი ოსები დაასახლეს ხიზნობის უფლებით.

მითითებულ ტერიტორიაზე მდებარეობენ სს. ჯალაბეთი, სინაგური (სასოფლო საბჭო), თედელეთი, ხახიეთი, პერევი, ქარზმანი. აღნიშნული სოფლებიდან ნაწილში ცხოვრობენ ქართველები და ოსები. ოსური სოფლებია ჯალაბეთი, თედელეთი, ხახიეთი. აღსანიშნავია ის, რომ ს. პერევი ორად არის გაყოფილი — მდ. ლებურას მარცხენა სანაპირო ს. პერევის ერთი ნაწილით შედიოდა სამხ. ოსეთის აო-ში, ამ ნაწილს პატარა პერევს უწოდებენ და ამჟამად აქ მხოლოდ ორი (ადრე იყო სამი) ოსური ოჯახია — ქართველებთან თანშეზრდილნი და ერთი მათგანი დედით ქართული. სოფლის მარჯვენა ნაწილი — დიდი პერევი — საჩხერის რაიონის ჭალის სასოფლო საბჭოს ეკუთვნის. ასე, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მითითებული საჩხერის რაიონის ს. პერევი და ჯავის რაიონის ს. პერევი ერთი და იგივე სოფლის ორი ნაგლეჯია, რასაც ვერასოდეს წარმოიდგენს მკითხველი. გარდა ამისა, ამავე ცნობარში ს. ქარზმანის უბნები: ტბა, ზემო და ქვემო ქარზმანი დამოუკიდებელ სოფლებადაა მოხსენიებული, რაც იშვიათი გამონაკლისი არ იყო აღნიშნული ოლქისათვის.

მდ. ყვირილის ზემო წელის სოფლები, რომელნიც სამხრეთ ოსეთის აო-ს მიეკუთვნებოდნენ კუდაროზე გადამავალი მოუხერხებელი (განსაკუთრებით ზამთარში) გზის გამო ჯავაში ჩასასვლელად საჩხერის გავლით უნდა წასულიყვნენ, რაც მეტად მოუხერხებელია. აქაურ ოსებს და ქართველებს ერთობლივად არაერთხელ დაუსვამთ საკითხი მათი საჩხერის რაიონზე მიკუთვნების შესახებ, მაგრამ არაფერი გამოსვლიათ. ეს თვით ოსებმა შემოგვჩივლეს იქ მუშაობის დროს. მათი გადმოცემით, ოსებსა და ქართველებს ამ რაიონში ყოველთვის კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ, რაც განმტკიცებული იყო ნათელ-მირონობით. ცენტრთან მოუხერხებელი კავშირის გამო აქაური სოფლები თითქმის დაიცალა.

IV. დაბოლოს, ძალიან ცოტამ თუ იცის (თვით სამეცნიერო წრეებშიდაც კი) ის, რომ ზემო რაჭის ტერიტორიაზე ს. გლოლის ზემოთ მდებარე ს. ღურშევი, რომელიც ადმინისტრაციულ დაყოფაში ყადისარად არის მითითებული და აგრეთვე მდ. ღარულას ხეობაში მდებარე ს. კოზი//კვაჟაც ე. წ. სამხრეთ ოსეთის აო-ს იყო მიკუთვნებული. პირველი მათგანი ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან გადმოსულ ოსებს თვითნებურად დაუსახლებიათ, ხოლო მეორე — კუდაროდან ბილიკებს ამოყოლილი ოსებიდან თვითნებურად დასახლდა. ს. ღურშევში ოსები დაფუძნებულან გასულ საუკუნეში, ხოლო კვაჟაში — ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ორივე სოფელი ჯავის რაიონს იყო მიკუთვნებული. ორივე სოფლის მოსახლეს რაიმე საქმესთან დაკავშირებით ზემო რაჭა, შემდეგ მდ. ჯეჯორისა და ფაწის ხეობები უნდა გაევლოთ, რათა რაიონს დაკავშირებოდნენ. ამ უხერხულობის გამო ს. ღურშევი მთლიანად დაიცალა (გადასახლდნენ ჩრდ. ოსეთში), ხოლო ს. კვაჟა კი — დაცლის პირასაა მისული. რაჭის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ორი ოსური სოფელი, რომელიც ონის რაიონის სორის სასოფლო საბჭოშია გაერთიანებული — სს. გადამში და ჭვებარი — კვლავ განაგრძობს აქტიურ ცხოვრებას (პირველში 34 კომლია, მეორეში — 19). ასე, რომ ქართულ გარემოში ცხოვრებას მათთვის სიკეთის მეტი არაფერი მოუტანია.

ყოფილ სამხრეთ ოსეთის შესახებ საუბრისას ხაზგასმით უნდა ითქვას მითითებული ზემოთჩამოთვლილი, აო-ში შეყვანილი ტერიტორიების შესახებ, რომელნიც ოსი ექსტრემისტებისათვის თითქოსდა „სამხრეთი ოსეთი", „მათი სამშობლოა".

**გულდამ ჩიქოვანი,**
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნ. თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ვისწავლოთ ჩვენი ისტორია

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს"

**ეს წერილები კარგა ხანს, პრაქტიკულად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სათანადო ბრძანებულების გამოქვეყნებიდან, იდო სარედაქციო საქაღალდეში. რესპუბლიკაში შექმნილი რთული სიტუაციის გამო არ მოგვეცა მათი გამოქვეყნების საშუალება. ვფიქრობთ, ეს წერილები ახლაც აქტუალურია დღესაც.**

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული იმის სრულყოფილად გაცნობიერებასთან, რაც მოჰყვა 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. მონობის 200 წლის მანძილზე და განსაკუთრებით ბოლო, კომუნისტური დიქტატურის 70 წლის მანძილზე, მიუხედავად ცალკეულ ისტორიულ მომენტებში ეროვნული გრძნობების ამოფრქვევისა, ქართველი ერის ფსიქოლოგიაში ჩამოყალიბდა მონისთვის დამახასიათებელი სინდრომები. დაქვეითდა ეროვნული ერთიანობის გრძნობა, მტრისა და მოყვრის გარჩევის გა-დავეჩვიეთ, ერთმორწმუნე რუსე-...

...ძლებთ მანამდისაც) უნდა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივ ისტორიულ მდგომარეობას — შექმნას დემოკრატიული სამხედრო სახელმწიფო წყობილება (და არა სამხედრო დიქტატურა), ისე, როგორც ამჟამად შვეიცარიას აქვს — ყოველი ჯანმრთელი და სრულფასოვანი მამაკაცი 18 წლიდან 60 წლამდე ითვლება ჯარისკაცად, რეზერვისტად, რომელსაც ჩაბარებული აქვს გარკვეული სახის შეიარაღება, რომლის გარეთ გამოტანის უფლება არა აქვს, ვიდრე მას არ მოუწოდებს ხელისუფლება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ორ საათში შეიძლება ფეხზე დადგეს 600-ათასიანი არმია (ქუდზე კაცი) — სწორედ ეს ...

შემეპარა, ხომ არა ვარ ტენდენციური და უბრალოდ ზვიად გამსახურდიისადმი სიყვარულით დაბრმავებული. ამიტომ კიდევ ერთხელ გადავხედე უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონ-პროექტებს და დავრწმუნდი, რომ „მრგვალი მაგიდის" წინასაარჩევნო დაპირებები არ ყოფილა ლიტონი სიტყვა. ახალი პარლამენტი საქმით ამტკიცებს ეროვნული იდეალების ერთგულებას.

ეს ზოგადად, კონკრეტულად კი ერთ პრობლემაზე მინდა მოგახსენოთ. სწორი იყო თუ არა უზენაესი საბჭო, როცა მიიღო დადგენილება არაკანონიერი შეიარაღებული შენაერთების დაშლის შესახებ? მითუმეტეს კითხვის დასმა ობიექტურია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თავის დროზე, როცა საქართველოს გაუჭირდა; მათ თავიანთი სიტყვა თქვეს და მხსნელად მოგვევლინენ. მაგრამ დღეს? დღეს სხვა ხელისუფლებაა, ეროვნული პარტიები მართავენ საქართველოს, დაეძებო სამშულ-...

თამაზ დგანიძე,

ინჟინერი.

ლია ბოლქვაძე

ანზორ მჭედლიშვილი,

ინჟინერი.

ავთანდილ ხოშტარია,

...

ანზორ კუკავა

# მროვნული გვარდია გიხმობთ...

(დასასრული)

...ლი მოვიდა, ჩვენც მიგვიღეთო, ასე 25-30 წლისანი.

გარეთ კი ჯგუფ-ჯგუფად დგანან წვევამდელები. უმეტესობა, ჩანს, მარტო მოსულა. თუმცა ზოგს მშობლებიც თან ახლავს.

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემს შვილს შეუძლია საქართველოს გამოადგეს, — ამბობს ნესტან სიხარულიძე, 18 წლის თეიმურაზის დედა.

— რომელი გაზეთიდან ხართ?

— ცნობისმოყვარე ბიჭები გარს შემოგვეხვივნენ.

— ჩაწერეთ, რომ გაგვიწვიეს, მაგრამ ჩვენი სურვილიც ეს იყო, — გვეუბნება ნიკა გოგინავა. — აქ ყველა საქართველოს დასაცავად მოვედით.

თამაზ ნინიაშვილის, გიორგი დაბრუნდაშვილის, დათო ხიდაშელის, ალექსანდრე მამულაშვილის, ზურაბ ბახტაძის გაღიმებული სახეებიც ამას ამბობენ.

— აჩიკო გვანცაძე, 20 წლის: არავის გავუწვევივარ, ჩემი სურვილით მოვედი. არც წითელ არმიაში მიმსახურია. ინდუსტრიულ ტექნიკუმში ვსწავლობდი და იმიტომ. აქ მოხალისედ მოვედი. სულ სხვაა ეროვნული გვარდია.

თამაზ მარკოზია, 27 წლის: მეც ჩემი სურვილით მოვედი.

— ქართული ეროვნული ფორმა ჯერ არ აქვთ, კონკურსი იყო გამოცხადებული და ახლა იკერება გამარჯვებულის მიხედვით, — ამბობს ერთი შუახნის კაცი, ისე მზრუნველი ხმით, რატომღაც ერთ-ერთი მეთაურთაგანი მგონია.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ზურაბ ბახტაძის მშობელი ვარ. ეროვნული გვარდიისთვის შვილი როგორ დამენანება? ნეტავ ყველაფერს კარგად აითვისებდეს.

ბიჭები ვიღაცას უძახიან, აი, 17 წლისაა, არ გაუწვევიათ, მაგრამ თავისი ფეხით მოვიდაო.

პაატა მალაციძე, 19 წლის: მე გამოქცეული ვარ. ულიანოვსკში ვმსახურობდი, სახანძრო რაზმში. იქ რა გამაჩერებდა, როცა აქაურობას ეკიდა ცეცხლი. შარშან წამოვედი. ჩემს გარდა ხუთი ბიჭი იყო. სიხარულით ვიმსახურებ ეროვნულ გვარდიაში. მართლა დეზერტირი კი არა ვარ...

ყაზარმაში, ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ საწოლებზე, ბიჭები ჩამომსხდარან გიტარით ხელში. უკვე გვერიდება, ამათაც ვკითხოთ, გვარდიაზე რა აზრისა არიან, განწყობილება ხომ კარგად იკითხება მათ თვალებში. თანატოლებთან რაღაცას გვაბარებენ. თუმცა მათი დანაბარები ისედაც ცხადია, შეხსენება არა გვგონია საჭირო იყოს.

**მანონი თუნგია,**

**ხათუნა მანჯავიძე.**

პრობლემა

# ვისთან ხართ თქვენ, არქიტექტორებო!

ლის კოშკი პარიზის სიმბოლოა, ...ანუ მიშენების შესახებ. ასე ყვე-...

...ნიშნაობა ან მთელი კომპლექსი წარმოადგენს. მაგალითად, ეიფე-...

...სახლებზე სართულების დაშენების ან ლოჯიების გაფართოების, ...მოდიან გეოლოგები და სეისმოლოგები, რომელნიც ჩვენი დაბა-...

...ლი დონის მშენებლობის ფონზე მეტად ცუდ პროგნოზებს გვპირდებიან. ამას თუ დაუმატებთ იმასაც, რომ ამ მიშენება-დაშენების კამპანიას ეწირება ათასობით ძირი ხე თუ ბუჩქი, რაც ქალაქის ისედაც მწირი გამწვანების პირობებში დამღუპველია ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის თვალსაზრისით, სურათი მეტად სავალალო იქნება. ყველაფერი ეს მართლაც საგანგაშოა.

მიშენება-დაშენების კამპანიამ ისეთი ფართო და მახინჯი მასშტაბები მიიღო, რომ ჩვენი აზრით ამაზე შორს წასვლა აღარ შეიძლება და დადგა დრო უმაღლესი ინსტანციები დაინტერესდნენ შექმნილი მდგომარეობით.

პირველი სიტყვა კი მაინც თქვენ გეკუთვნით ძვირფასო არქიტექტორებო. ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე, კონკრეტულად კი არქიტექტორთა კავშირს.

**ბიძინა თავაძე,**

**ხამთო მეტყევეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ექსპერტი.**

# ღია წერილი

## სისხლის სამართლის დამნაშავე ქართველ ახალგაზრდებს — ქურდებს, მკვლელებს, ყაჩაღებს, მძარცველებს, — ყველა პოტენციურ დამნაშავეს

მე არ განგიკითხავთ თქვენ, რამეთუ არავინ არის უცოდველი ამ ქვეყნად, გარდა მამაზეციერი ღმერთისა.

არ განგიკითხავთ, რამეთუ სახელმწიფო, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, — არის ყველაზე დიდი დამნაშავე, — მკვლელი, მძარცველი, ყაჩაღი, მპარავი.

ჩვენში სავალალო მოდად ქცეულმა „ქურდული ტრადიციებისადმი" ბრმა ერთგულებამ აგირიათ გონება და ჩაგიკლათ რაინდული ქართული სული; გაქციათ ნარკომა-...

...ერთგულებით. აქ უნდა იხარჯებოდეს თქვენი ელვარე ნიჭი, კოლოსალური ენერგია და მგზნებარე ტემპერამენტი. სწორედ ეროვნულ მოძრაობაში გამოინახება ყველა თქვენთაგანისათვის შესაფერისი საპატიო და ღირსეული ადგილი.

ვაი, რომ დღესდღეობით ასე არ არის:

დღეს, როცა თქვენი თანატოლები — ჩვენი საუკეთესო შვილები — მამულს დაუფიქრებლად ეწირებიან და შიშველი ხელებით ...

...რით თქვენ, ვინც ჩადენილი დანაშაული საკუთარი სიცოცხლით უნდა ზღოთ, — დედა საქართველოს ხომ ყველანი, მტყუანიცა და მართალიც, ერთნაირად გვკლდებით.

ხარობს და იცინის მტერი.

რა ვქნათ, რა ვიღონოთ?

ერთ-ერთი უპირველესი კანონი, რომელიც ახალმა პარლამენტმა მიიღო, ამნისტია იყო. თქვენ ნდობა გამოგიცხადეს, ციხის კარი გაგიღეს და ოჯახში დაგაბრუნეს, ბევრმა კი სამაგიეროდ იმით გადაიხადეთ, რომ უკვე მოასწარით ...

...

გვიჭირს, — განა იმიტომ, რომ ვერ გაგიმკლავდებით, უფრო იმის გამო, რომ ჩვენივე სისხლი და ხორცი ხართ და თქვენი სატკივარიც გვტკივა. ნუ გააბოროტებთ დედა საქართველოს. ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი.

...

ნუცა ჯაჯანიძე

სარწმუნოება, რელიგია, ეკლესია







# წირვა ლიხნის ტაძარში

ხალხში მას აფხაზ მღვდელს უწოდებენ. ის კი თავის თავს უბრალოდ ღვთის მონა ბესარიონს უწოდებს. ერისკაცობაში მას ბასლან ფილია ერქვა, და აი უკვე თორმეტი წელია ლიხნის ეკლესიაში სწირავს, აზიარებს თავის მრევლს ქრისტეს ეშმარტებას.

თავისი მოწოდების ძიებაში მან გრძელი ცხოვრებისეული გზა განვლო, სანამ იგი არ პოვა ადამიანთა სულიერებისა და ზნეობრიობის კალაპოტში ადამიანი რომ შვა, იგი პატიოსან ქრისტიანად უნდა აღზარდოო. სულიერი მოძღვრის, ლიხნის ტაძრის წინამძღვრის მამა პეტრეს ეს სიტყვები მამა ბესარიონის თავისებური სულიერი კრედო გახდა, რომელიც დიაკვნად სოხუმის საკათედრო ტაძარში აკურთხა სრულიად საქართველოს უწმინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

და გაისმის საკვირაო წირვის დროს ლიხნის ტაძარში აფხაზურ ენაზე კორინთელებისადმი მოციქული პავლეს პირველი წერილი, რომელსაც მამა ბესარიონი კითხულობს ახალი აღთქმიდან.

**სურათებზე:** გუგუნებენ ლიხნის ტაძრის ზარები..., მამა პეტრე და დიაკვანი ბესარიონი ახალშობილის ნათლობის დროს; წირვა ლიხნის ტაძარში.

**ბორის სოკოლოვის ფოტო** (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახსენება

## ერთმანეთზე ფიქრით...

ძვირფასო მკითხველო, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ ამ მცირე მოგონებას, მეც მკითხველი ვარ და არა მწერალი, სოფლის მეურნეობის მუშაკი და არა ფილოლოგი, მაგრამ დღევანდელმა დაძაბულმა ცხოვრებამ და პრესაში გამოქვეყნებულმა ზოგიერთმა წერილმა მიბიძგა ჩემი ახალგაზრდობის წლები გამეხსენებინა, მით უმეტეს, რომ წავიკითხე 1991 წლის 29 იანვრის „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილი წერილი, რომელშიც ჩართულია იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შათირიშვილის მოგონება: ბატონი კონსტანტინე ერთხელ შვლის ნუკრსა მთხოვდა, ცოლი მყავს და ნაღვლობსო, დამაფიქრიანა და კიდევ კარგი, რესპუბლიკის მთავრობას გაეგო და შვლის ნუკრი ბატონი კონსტანტინესათვის გაუგზავნიაო.

სოლოლაკის ერთ ლამაზ ქუჩაზე, სადაც მე გავიზარდე, უამრავი ცნობილი პიროვნება ცხოვრობდა, ზოგი იღბლიანი, ზოგი უიღბლო, ზოგმა გაუძლო ამ ცხოვრების ორომტრიალს, ზოგს თავი მოაკვლევინეს... ხუთ ნომერში პაოლო იაშვილი ცხოვრობდა, ქვემოთ, თერთმეტში, გერონტი ქიქოძე, ცამეტ ნომერში კონსტანტინე გამსახურდია, თხუთმეტში ცვარნამი (კინწურაშვილი), მოპირდაპირე მხარეს მარიჯანი, მერე და მერე ახალი თაობა წამოვიდა, ქუჩის თავში ერთმანეთის მეზობლად იყვნენ რევაზ თვარაძე და თამაზ ჩხენკელი, ქუჩის შუაში და ბოლოში ჯანსუღ ჩარკვიანი და [illegible] გეგეჭკორი...

მოკლედ, ამ ხუთას მეტრში მილიონი მუზა იყო დაბერტყილი უფლის მიერ.

მე ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას მეზობელი ვიყავი ჯაფარიძის ცამეტ ნომერში, მესამე სართულზე, ჩვენს ოჯახებს კარგი მეზობლობა ჰქონდათ.

მაშინ, იმ ბედნიერ დროს, გამსახურდიების ოჯახს ღვთის წყალობით თავს დასტრიალებდა უმშვენიერესი ქართველი ქალბატონი მირანდა ფალავანდიშვილი-გამსახურდიასი, არწივივით გამომხედვარე კონსტანტინე გამსახურდია, მარად ჩაფიქრებული და ღიმილიანი თამრიკო გამსახურდია და ყოველთვის მეგობრებით გარშემორტყმული ზვიად გამსახურდია — ოჯახში უმრწემესი. დრო გავიდა, ჩვენი ქუჩიდან წასული ბატონი კონსტანტინე უკვე „კოლხურ კოშკში“ ჩასახლდა...

ერთ მშვენიერ დღეს, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში ვმუშაობდი, ცკ-ს მდივანმა ბატონმა შოთა ჭანუყვაძემ თავისთან მიხმო და მითხრა: ჯიმშერ, შენ ჩვენს შორის ყველაზე კარგად იცნობ ბატონ კონსტანტინეს, ჩვენთან მოსვლა გადაუწყვეტია, ჩადი ქვევით, დახვდი შემოსასვლელში, თორემ საშვს მოსთხოვენ და თავი მოგვეჭრება საქვეყნოდო. გააფრთხილე, უსაშვოდ გამოუშვან და ჩემთან ამოიყვანეო.

დავალება, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე და შუა დღის პირველ საათზე ბატონ კონსტანტინეს შემოსასვლელთან დავუდარაჯდი... სულ ათი წუთი ველოდე და ისიც მობრძანდა, შავ ჩოხაზე ტყავით გაწყობილი ვერცხლის ქართული ხანჯალი შვენოდა...

შეხვედრისას ოდნავ შემცბარმა მკითხა, შენ აქ რას აკეთებ, ჯიმი? მე ვუპასუხე, რომ აქ ვმუშაობდი, კი მაგრამ რატომ მამის კვალს არ გაჰყევიო (ალბათ, აგრონომობას გულისხმობდა), მითხრა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაიხითხითა.

ბატონი კონსტანტინე ცეკას მდივანთან მივიყვანე და მისსავე ოთახში დავტოვე.

ერთი საათის შემდეგ კვლავ დამიძახა ბატონმა შოთამ და მთხოვა ჩამეცილებინა სტუმარი. მე კვლავაც სიამოვნებით შევასრულე ეს მისია.

ბატონი კონსტანტინე დამემშვიდობა, სახლში მოკითხვა დამაბარა, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა.

მე მივბრუნდი ბატონ შოთასთან, რომლის ოთახშიც გაიმართა საინტერესო საუბარი, ჩემთან ერთად იყო მისი თანაშემწე ლონგინოზ ზაქაიძე...

ბატონმა შოთა ჭანუყვაძემ სთქვა, — ახლავე დარეკეთ თელავში, უთხარით ჩვენებს, მე მგონი იქ შვლის ნუკრი უნდა ჰყავდეთ და სასწრაფოდ ჩამოიყვანონ... მერე დასძინა, როცა ბატონი კონსტანტინე მოვიკითხე, საოცარი რამ მითხრა, მირანდას გარდაცვალების შემდეგ ჩემმა ნებიერამ მოიწყინა, მეშინია არ მომიკვდეს, იმას რომ რამე დაემართოს, მე ვერ გადავიტან, მისი სიკვდილი ჩემი ახალი უბედურება იქნებაო...

ან დარეკეთ, ან ჩადით, რომ კონსტანტინე გამსახურდიას სასწრაფოდ ჩამოუყვანოთ შვლის ნუკრი და დავუწყვილოთ ნებიერას, ჩვენ რაც შეგვიძლია, ის გავუკეთოთ საუკუნის მწერალსო.

მეორე დღეს, შვლის ნუკრი ჩამოგვიყვანეს, მე იგი მანქანაში ჩავისვი და გავსწიე „კოლხური კოშკისაკენ“.

„კოლხურ კოშკში“ უცხო მანდილოსანი დამხვდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის უცნობი, რომელმაც მაუწყა: ბატონი კონსტანტინე ისვენებსო, ვინაობაც გამომკითხა: თქვენ ვინ ბრძანდებითო, მე ვუთხარი, ვინც ვიყავი და შვლის ნუკრიც გადმოვიყვანე მანქანიდან. ამასობაში ბატონი კონსტანტინეც გამოვიდა, რომ დამინახა, მოულოდნელობისაგან გაოცდა, როცა ყველაფერში გაერკვა, თქვა: ჩვენდა საბედნიეროდ, იმ შენობაშიც მუშაობენ კეთილშობილი ადამიანები, ამას მხოლოდ დიდი სულის კაცი თუ მოიმოქმედებს, მადლობა გადაეცი შოთა ჭანუყვაძეს გულისხმიერებისათვის და უთხარი, რომ სიცოცხლე გამიხანგრძლივა...

გახარებული მოვდიოდი „კოლხური კოშკიდან“ და ვფიქრობდი კაცზე, რომელიც დიდი მწერლის სიცოცხლეზე და სიმშვიდეზე ფიქრობდა...

**ჯიმშერ ჩარკვიანი.**
**1991 წლის 31/I.**

# სხვა გაზეთიდან

## მოდით, გადავარჩინოთ ოსკარი!

**პატარა** ოსკარმა ჯერ კიდევ არ იცის თუ რა არის სიკვდილი, და არ ესმის, რომ მისი მშობლების — ქიმიკოს ელენე იაკუბოვსკაიასა და ინჟინერ ოსკარ ასევედოს ოჯახში მასთან ერთად მარტო სიხარული როდი მოვიდა. როცა იგი დაიბადა, ექიმებმა შენიშნეს, რომ მის კანს მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა. მოხდა ის, რაც, სამედიცინო სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, მილიონი მშობიარობის დროს მხოლოდ ერთხელ ხდება: როცა ბუნება ბავშვის სისხლძარღვთა სისტემას აყალიბებდა, აორტა და ფილტვის არტერია ერთმანეთში აერია. ჩვილის სხეულში მიმოდიოდა ჟანგბადით ღარიბი სისხლი. ასეთი ბავშვები განწირული არიან, ისინი მხოლოდ რამდენსამე თვეს ცოცხლობენ...



Давайте спасем Оскара!

Маленький Оскар еще не знает, что это такое — смерть, и не понимает, что вместе с ним в дом его родителей — химика Елены Якубовской и инженера Оскара Асеведо — пришла не только радость. Когда он появился на свет, врачи обратили внимание на синеватый цвет его кожи. Случилось то, что, как уверяет медицинская статистика, бывает лишь раз на миллион рождений: природа, формируя его кровеносную систему, перепутала аорту с легочной артерией. По телу малыша стала циркулировать кровь, обедненная кислородом. Такие дети обречены, срок их жизни — несколько месяцев...

ПРАВДА, есть одно спасительное «но»: несколько лет назад московский врач Владимир Владимирович Алекси-Месхишвили, тогда научный сотрудник Института сердечно-сосудистой хирургии имени Бакулева, разработал методику уникальной операции «перестановки» перепутанных кровеносных сосудов. Но, не встретив поддержки дома, уехал в Западный Берлин, где и работает в Кардиологическом центре.

Узнав об этом, Оскар Асеведо бросился в Берлин. «Да, — сказали ему, посмотрев рентгенограмму мальчика. — Доктор Месхишвили делает такую операцию. Мы можем спасти вашего сына. Но это будет стоить сто тысяч долларов...»

Откуда у инженера могут быть такие деньги? Да еще в валюте?

Молодой отец разыскал доктора Месхишвили. «О чем разговор? — сказал тот. — Сделаю операцию бесплатно. Но со мной работают еще три врача... Согласятся ли они?» Согласились. Все члены хирургической бригады отказались от положенного им немалого гонорара. Стоимость операции упала до 35 тысяч долларов.

Теперь на помощь пришла дирекция Берлинского кардиоцентра: «Мы будем проводить операцию в два этапа, — пояснили Оскару Асеведо. — Внесите деньги хотя бы за первый этап — половину всей суммы. Тогда второй мы будем обязаны сделать независимо от того, есть или нет на нашем счете деньги... Отдадите потом. Главное — мальчик будет спасен».

Так сумма первого взноса за жизнь малыша сократилась еще вдвое — до 25 тысяч марок (примерно 15 тысяч долларов). Конечно, родители обращались во все многочисленные фонды, что громогласно заявляют сейчас о себе, конечно, просили помощи и у Красного Креста, и у руководителей ряда инофирм и банков, аккредитованных в Москве. Но все им отказали...

Заметьте, в Берлине отнеслись с пониманием. У нас — отвернулись.

Разыскивая выход из этой отчаянной ситуации, мы не могли не задуматься о том, что уникальный хирург, который работает в Берлине, оказался там не потому, что очень уж рвался на Запад... Теперь он «у них», у нас его — нет. Мы думали и о том, что Оскар и Елена — молодые, полные сил люди (оба выпускники Университета Дружбы народов имени П. Лумумбы), готовы работать с утра до ночи, всю жизнь, довольствоваться минимумом, лишь бы вернуть нужную сумму. Но где у нас заработаешь столько валюты?! Или рублей, чтоб купить ее? Вот если бы был кредит...

И еще: когда в родильном доме врачи заподозрили, что с младенцем неладно, естественно, стали выяснять возможные причины постигшей беды. И, похоже, выяснили: Елена четыре года работала на химическом факультете МГУ, где имела дело с ртутью. Медики полагают, что, возможно, именно это сказалось на здоровье ребенка. Что же — предъявить МГУ иск за ущерб моральный и материальный? Да у нас на такую попытку посмотрят лишь в полнейшем недоумении! Общество не может, не имеет права отворачиваться от нас в беде! И уж, во всяком случае, оно обязано дать возможность молодым родителям самим спасти свое дитя.

*Этот снимок — Оскар с мамой — Виктор Ахломов сделал на прошлой неделе. Мальчик развивается нормально. Пока...*

***Нам остается только просить всех, кого тронет судьба маленького Оскара, помочь ему хотя бы одной маркой, хотя бы одним долларом, франком...***

***Деньги можно переводить на расчетный счет 18020745 Внешэкономбанка на имя Оскара Асеведо.***

***Благодарим за помощь!***

მაგრამ, არის ერთი გადამრჩენი „მაგრამ“: რამდენიმე წლის წინათ მოსკოველმა ექიმმა **ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილმა**, რომელიც მაშინ ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა, შეიმუშავა „არეული“ სისხლძარღვების „გადაადგილების“ უნიკალური ოპერაციის მეთოდიკა. მაგრამ, მას მხარი არავინ დაუჭირა და იძულებული გახდა გადასახლებულიყო დასავლეთ ბერლინში, სადაც ახლა კარდიოლოგიურ ცენტრში მუშაობს.

როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, ოსკარ ასევედომ დასავლეთ ბერლინს მიაშურა. „დიახ, — უთხრეს მას, როცა ბიჭუნას რენტგენოგრამა შეისწავლეს. — ექიმი მესხიშვილი აკეთებს ასეთ ოპერაციას. შეგვიძლია თქვენი შვილის გადარჩენა, მაგრამ, ეს 100 ათასი დოლარი დაგიჯდებათ...“

საიდან ექნება ინჟინერს ამდენი ფული? თანაც, ვალუტით?

ახალგაზრდა მამამ ექიმი მესხიშვილი მოძებნა. „რა სალაპარაკოა, — უთხრა ექიმმა გამწარებულ მამას, — ოპერაციას უფასოდ გავაკეთებ. მაგრამ, ჩემთან ერთად სამი ექიმი კიდევ მუშაობს... თუ ისინიც დავითანხმე?“ დაითანხმა. ქირურგთა ბრიგადის თითოეულმა წევრმა უარი თქვა მიეღო კუთვნილი დიდძალი ჰონორარი. ოპერაციის ფასი 35 ათას დოლარამდე შემცირდა.

დახმარება აღუთქვა ბერლინის კარდიოცენტრის დირექციამაც: „ოპერაციას ორ ეტაპად გავაკეთებთ, — აუხსნეს ოსკარ ასევედოს. — ფული პირველი ეტაპისათვის მაინც შეიტანეთ — მთელი თანხის ნახევარი. მაშინ ვალდებული ვიქნებით მეორე ეტაპის ოპერაცია ნისიად გავაკეთოთ. მომავალში გადაიხდით. მთავარია, რომ ბიჭს გადავარჩენთ“.

ამგვარად, ბიჭუნას გადასარჩენი თანხა კიდევ განახევრდა — 25 ათას მარკამდე (დაახლოებით 15 ათასი დოლარი). რა თქმა უნდა, მშობლებმა მიმართეს სხვადასხვა ფონდს, წითელ ჯვარსაც, მოსკოვში აკრედიტებულ უცხოური ფირმებისა და ბანკების ხელმძღვანელებსაც, მაგრამ ყველამ უარით უპასუხა...

ყურადღება მიაქციეთ, ადამიანის გაჭირვება ბერლინში გულთან მიიტანეს, მოსკოვში კი — ზურგი შეაქციეს.

როცა რედაქციაში ამ სასოწარკვეთილი სიტუაციიდან გამოსავალს ვეძებდით, დაგვაფიქრა იმან, რომ უნიკალური ქირურგი, რომელიც დასავლეთ ბერლინში მუშაობს, იქ იმიტომ კი არ აღმოჩნდა, რომ ძალიან მიუწევდა გული დასავლეთისაკენ... ახლა ის „იმათთან“ არის, ჩვენთან ის აღარ არის. იმაზედაც ვფიქრობდით, რომ ოსკარ და ელენე — ახალგაზრდა, ძალ-ღონით აღსავსე ადამიანები არიან (ორივე პ. ლუმუმბას სახელობის მეგობრობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია), მზად არიან იმუშაონ დილიდან შუაღამემდე, მთელი სიცოცხლის მანძილზე, დასჯერდნენ მცირეს, რათა ვალი გადაიხადონ. მაგრამ, სად იშოვნი ჩვენში საკუთარი შრომით ამდენ ვალუტას? აი, სესხება რომ შეიძლებოდეს...

და კიდევ: როცა სამშობიარო სახლში ეჭვი აიღეს, რომ ბავშვს უბედურება მოელოდა, ბუნებრივია, შეუდგნენ დაავადების შესაძლო მიზეზის გარკვევას. და, ეტყობა, გამოარკვიეს კიდეც: ელენე ოთხ წელიწადს მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, სადაც საქმე ჰქონდა სინდიყთან. მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ, შესაძლოა, სწორედ ამან იმოქმედა ბავშვის ჯანმრთელობაზე. იქნებ უნივერსიტეტისათვის მოეთხოვათ მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება? ჩვენში ასეთი მცდელობა გაუგებრობას გამოიწვევდა! საზოგადოებას უფლება არა აქვს უბედურების დროს ზურგი შეგვაქციოს. ყოველ შემთხვევაში კი, იგი ვალდებულია ახალგაზრდა მშობლებს შესაძლებლობა მისცეს გადაარჩინონ თავიანთი შვილი.

შემდეგ... რედაქცია მკითხველებს სთხოვს მონაწილეობა მიიღონ ბავშვის გადარჩენაში და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მის მშობლებს, თითო მარკა, დოლარი, ფრანკი... გადმორიცხონ საგარეოეკონომბანკის 18020745 ანგარიშზე ოსკარ ასევედოს სახელზე.

**„ნედელია“ № 4, 1991 წელი.**

**რედაქციისაგან:** ექიმი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, რომელსაც მოსკოვში ხელი არ შეუწყვეს, რომ მსოფლიოში უნიკალური ოპერაციები გაეკეთებინა, იძულებული გახდა ბერლინს გადახვეწილიყო და თავისი ნიჭი ბოლომდე იქ გამოევლინა. ჩვენი თანამემამულე და, მისი შემხედვარე — ბერლინელი კოლეგები, მზად არიან უსასყიდლოდ გააკეთონ ურთულესი ოპერაცია, პატარა ოსკარის სამშობლო — დიდი საბჭოთა კავშირი კი უარს ამბობს 25 ათასი მარკა გადაიხადოს თავისი ნორჩი მოქალაქის სიცოცხლის გადასარჩენად.

**სამწუხაროდ, ასეთია საბჭოური ჰუმანიზმი!**

# გამოხმაურება

## მისაღები გამოცდების მოლოდინში

### მთავარია მსჯელობის უნარი

ყველას, განსაკუთრებით მშობლებს, გვაფიქრებს უმაღლესში მისაღები გამოცდების ავ-კარგი, გვაფორიაქებს სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული უნდობლობა, ზოგჯერ კი მაამებლური მიკერძოების შემთხვევები.

ამიტომ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალყურს ყოველ სიახლეს, მით უმეტეს კი ისეთს, რომელიც მეტი სიმშვიდის საშუალებას მოგვცემს.

ბოლო ხანებში მეტად სერიოზული და ალტერნატიული მოსაზრებები გამოითქვა ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდის სრულყოფის ირგვლივ. მხედველობაში მაქვს, უპირველეს ყოვლისა, „ახალგაზრდა ივერიელში“ (25. X. 90; 17. I. 91) დაბეჭდილი წერილები, აგრეთვე გაზეთ „თბილისში“ (4. II. 91) გამოქვეყნებული პუბლიკაცია. მათი გაცნობა და პირადი გამოცდილება მარწმუნებს, რომ ზოგიერთი ავტორის მოსაზრება არ არის სწორი. ასე ითქმის, მაგალითად, ქ-ნ თინა ფანცულაიას („თბილისი“, 4. II. 91) შეშფოთების შესახებ ახალი მეთოდების შემოღებისას აბიტურიენტთა ფსიქო-ფიზიოლოგიური გართულებებისა და თემათა ინტერპრეტაციის, ანუ სხვადასხვა თემის ნაწილების ერთმანეთში შერევის ირგვლივ და ა. შ.

თქმულის მიუხედავად, მთლიანად ვიზიარებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კორნელი დანელიას მიერ მეტად საინტერესო ალტერნატიულ მოდელს, რომელიც „ახალგაზრდა ივერიელის“ (25. X. 90) საშუალებით შესთავაზა მკითხველს. ბატონი კორნელის აზრით, აბიტურიენტებს ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე უნდა მიეცეთ ხუთი საკითხი, სამი — ლიტერატურიდან (თითო ქართული მწერლობის თითო პერიოდიდან), ერთი — გრამატიკიდან (წინადადების გარჩევა), და ერთიც თავისუფალი მსჯელობისათვის.

ამასთან პატივცემული პროფესორი სამართლიანად დასძენს, რომ არაჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთ საკითხები შეიძლება გამარტივებული სახით მიეცეთ კონკურსის გათვალისწინებით.

ბატონი კორნელი მაგალითებით გვიჩვენებს თუ როგორი შეიძლება იყოს თითოეულ საკითხში შესული თემები. სწორედ მათი გაშუქებით უნდა გამოვლინდეს: **ჯერ ერთი**, ლიტერატურული მასალის ცოდნა; **მეორე**, აზროვნებისა და მსჯელობის თვისება; **მესამე**, ზოგადი მსოფლმხედველობა; **მეოთხე** პრაქტიკული ცოდნა ქართულ ენაში; **მეხუთე**, შემოქმედებითი და თავისუფალი მსჯელობის, აგრეთვე ფანტაზიის უნარი.

პროფ. კ. დანელიას მიერ შემოთავაზებული „სქემით“ შესრულებული წერითი ნამუშევარი (პასუხები) ცალ-ცალკე შეფასდება ხუთბალიანი სისტემით, ბალების ჯამი გაიყოფა ხუთზე და გამოიყვანება ერთი საბოლოო შეფასება, სახელდობრ: ფრიადი დაიწერება 23-25 ბალზე, კარგი — 12-22 ბალზე, დამაკმაყოფილებელი — 12-17 ბალზე...

ამრიგად, წერითი გამოცდის აღნიშნული წესი უზრუნველყოფს მრავალმხრივ და შეგნებული ცოდნის მქონე, მოაზროვნე ახალგაზრდების შერჩევას და, რაც მთავარია, ასეთ ვითარებაში, ჩემი აზრით, მაქსიმალურად გამოირიცხება „შპარგალკიანობისა“ და სხვა სახის მიკერძოებათა შემთხვევები.

**კლიმენტი ელიზბარაშვილი.**
**6. II. 91.**

**გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ ეროვნული გვარდიის ფონდში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხრუშჩოვის საიდუმლო ჩანაწერებიდან





სურათებზე: ნადეჟდა ალილუევა; სტალინი და ნ. ხრუშჩოვი.

## მოულოდნელი გარდაცვალება

„სტალინის მეუღლეს, ნადეჟდა სერგის ასულ ალილუევას, შევხვდი სწორედ მისი გარდაცვალების წინ, 1932 წლის ნოემბერს, წითელ მოედანზე, ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ აღლუმზე. მე და ალილუევა ვიდექით ერთმანეთის პირისპირ ლენინის მავზოლეუმის წინ და ვსაუბრობდით. ცივი, ქარიანი დღე იდგა. სტალინს როგორც ყოველთვის, ეცვა თავისი გაცვეთილი სამხედრო შინელი. ზედა ღილი გახსნილი ჰქონდა. მეუღლემ გახედა მას და თქვა: „ჩემი კაცი ისევ უშარფოდაა, ის გაცივდება და ავად გახდება“. ეს მისთვის ჩვეული იუმორით იყო ნათქვამი.

მეორე დღეს ლაზარ კაგანოვიჩმა, სტალინის ერთ-ერთმა ლეიტენანტმა, შეკრიბა პარტიის მდივნები და აუწყა, რომ ნადეჟდა სერგის ასული მოულოდნელად გარდაიცვალა. მე დავფიქრდი და საკუთარ თავს დავუსვი კითხვა: „როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? მე ხომ სულ ახლახანს ვესაუბრებოდი მას, მერედა როგორი მომხიბლავი იყო იგი“...

2 დღის შემდეგ კაგანოვიჩმა შეკრიბა იგივე ჯგუფი და გამოუცხადა: „მე გესაუბრებით სტალინის სახელით, მან მთხოვა, რომ შემეკრიბეთ და მეთქვა თქვენთვის, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ნადეჟდა სერგის ასული არ გარდაცვლილა თავისი სიკვდილით, მან თავი მოიკლა“. კაგანოვიჩს არ დაუკონკრეტებია თავისი ნათქვამი და არც ჩვენ შევკითხვივართ არაფერს. ჩვენ დავმარხეთ იგი. სტალინი საფლავთან ტანჯული იერით იდგა. მე ვერ ვიტყვი, თუ რა ხდებოდა მის სულში, მაგრამ იგი ტიროდა და უსაზღვროდ სევდიანი იყო.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ნადეჟდა სერგის ასულის სიკვდილის ამბავი ცნობილი გახდა ჩემთვის. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არ არის დოკუმენტირებული. ვლასიკმა, სტალინის დაცვის უფროსმა, თქვა, რომ აღლუმის შემდეგ ყველანი წავიდნენ თავდაცვის მინისტრის — კლიმენტ ვოროშილოვის აპარატამენტში სადილად. აღლუმების და ამის მსგავსი ამბების შემდეგ მათ ჩვეულებად ჰქონდათ ვოროშილოვთან სადილზე წასვლა.

აღლუმის მარშალი და პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი ვოროშილოვთან აღლუმის დამთავრებისთანავე გაემართა. ყველამ დალია, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევებში. საბოლოოდ ისინი დაიშალნენ. წავიდა სტალინიც, მაგრამ იგი სახლში არ დაბრუნებულა.

გვიან ღამით, ვინ იცის რომელი საათი იქნებოდა, შეწუხებულმა ნადეჟდა სერგის ასულმა დაიწყო მეუღლის მოძიება ტელეფონით. იგი რეკავდა სხვა და სხვა აგარაკებზე. ერთ-ერთი აგარაკის მორიგე ოფიცერმა კითხვაზე იყო თუ არა იქ სტალინი უპასუხა: „დიახ, ამხანაგი სტალინი აქ იმყოფება“. „ვინ არის მასთან ერთად?“ — იკითხა ნადეჟდა სერგის ასულმა. ოფიცერმა დაასახელა ქალი, რომელიც იყო ერთ-ერთი სამხედროს, გვარად გუსევის მეუღლე. ზემოთხსენებულ სადილს გუსევიც ესწრებოდა. როცა სტალინი წავიდა, მან ეს ქალი თან წაიყვანა. როგორც ამბობდნენ, ის ძალზედ „მშვენიერი“ იყო: სტალინი გუსევასთან ატარებდა აგარაკზე დროს და ალილუევამ ამის შესახებ მორიგე ოფიცრისაგან შეიტყო.

დილით, ზუსტად როდის ვერ გეტყვით, სტალინი დაბრუნდა სახლში. მისი დაბრუნების შემდეგ ნადეჟდა სერგის ასულს დიდხანს არ უცოცხლია. ალილუევას არ დაუტოვებია არანაირი ბარათი, და თუ კი ასეთი არსებობდა, მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

მოგვიანებით ვლასიკმა თქვა: „ის მორიგე ოფიცერი დიდად გამოუცდელი ყმაწვილი იყო, მან ქალს ყველაფერზე უპასუხა, რაც ჰკითხეს“...

დადიოდა ჭორები, რომ ალილუევა სტალინის მოკლული იყო, ამბის ეს მხარე ბურუსითაა მოცული, მაგრამ სხვა მხარე შედარებით გარკვეულია. ვლასიკი, ყოველივე ამის შემდეგ, დარჩა სტალინის მცველად.

მე მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევაც: ნადეჟდა სერგის ასულის გარდაცვალების შემდეგ ვესტუმრე სტალინს და მის ოთახში ვნახე შავგვრემანი ქალი. იგი კავკასიელი იყო. როცა მე შევედი, ქალი თავგვივით გაუჩინარდა. როგორც ამიხსნეს ქალი სტალინის შვილების მასწავლებელი იყო; მაგრამ მას დიდხანს არ დაუყვია სტალინთან, იგი მალე გაუჩინარდა. ლავრენტი ბერიასთან საუბრისას შევიტყვე, რომ ქალი მისი რეკომენდაციით იყო მოვლენილი. ბერია კარგად ერკვეოდა „მასწავლებლებს“ შერჩევასა და აყვანაში.

## სტუმარი ბერლინიდან

1939 წლის 24 აგვისტოს, დილით, სტალინი კარგ გუნებაზე გახლდათ. მან მითხრა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, იოაქიმ ფონ რიბენტროპი, ჩამოვიდა წინა დღით. მან ჩამოიტანა საერთაშორისო მოლაპარაკების პროექტი მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ ხელმოსაწერად. „ჰიტლერს ჩვენი მოტყუება სურს“, — თქვა მან, — მაგრამ ჩვენ მას ეშმაკობით ვაჯობებთ“.

სტალინის სიტყვით დოკუმენტი, რომლისთვისაც ჩვენ ხელი უნდა მოგვეწერა, მოგვცემდა საშუალებას დავუფლებოდით ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს, ბესარაბიას და ფინეთს. ამ ქვეყნების ბედი ჩვენს ხელთ იქნებოდა და მათ მიმართ გერმანია თამაშგარეთ აღმოჩნდებოდა.

ყოველივე ეს ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებდა. ბალტიის ზღვის მისადგომების ხელში ჩაგდება ჩვენს სტრატეგიულ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა, რამეთუ ეს გამოაცლიდა დასავლეთის ძალებს დასაყრდენ წერტილს, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ მომავალში. ჩვენ შევყურებდით ჩვენი მტრის „თოფის კონდახს“, ჰიტლერმა მოგვცა შანსი, რომ გზიდან გადაგვეხვია, სწორედ ეს იყო გამართლება პაქტისა, სწორედ ასევე ვხედავ მე ამას დღესაც.

ეს ძალიან რთულად გადასადგმელი ნაბიჯია. ჩვენ — კომუნისტები, ანტიფაშისტები, ადამიანები, რომლებიც ჰიტლერის ფილოსოფიის ოპოზიციას წარმოვადგენდით — უცებ ვუერთებდით მას ძალებს ამ ომში. სტალინი ფიქრობდა, რომ იგებდა დროს. ეს მოლაპარაკება ვერ დაგვიცავდა ჩვენ გერმანიის შემოტევისაგან; იგი მხოლოდ ამოსუნთქვის საშუალებას მოგვცემდა. იმ დღეს, როცა რიბენტროპთან მოლაპარაკებას ხელი მოაწერა, სტალინმა თქვა: „კარგი, მომავალში ჩვენ მოვატყუებთ ჰიტლერს“. ამით მან გვაჩვენა, რომ შესანიშნავად ესმოდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. როცა ჰიტლერმა ასეთი ელვისებური სისწრაფით მოახდინა საფრანგეთის ოკუპაცია 1940-ში, ცხადი გახდა, რომ ომი დასავლეთში მხოლოდ რეპეტიცია იყო აღმოსავლეთის ომისა. სტალინი უკიდურესად განერვიულებული იყო. თუ სხვა დროს მას ჩვეულებად ჰქონდა ნელი ნაბიჯით ბოლთის ცემა შეკრებების დროს, ახლა იგი პირდაპირ დაჰქროდა და მეეტლესავით აგინებდა საფრანგეთსა და ინგლისს იმის გამო, რომ უფლება მისცეს ჰიტლერს მათთვის ასე გადაევლო. ეხლა ჩვენი ჯერი იყო და სტალინს ეს შესანიშნავად ესმოდა.

არავინ, ვისაც კი გააჩნდა მცირეოდენი პოლიტიკური ალღო, არ დაიჯერებდა იმას, რომ ჩვენ გავხდით მსხვერპლი მოულოდნელი, მოღალატეობრივი თავდასხმისა.

დღემდე სტალინის ზოგიერთი თაყვანისმცემელი ცდილობს შეალამაზოს მისი მარცხი, და ამბობს, ვითომ ჰიტლერმა ჩვენ მოგვატყუა, როცა დაარღვია მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი.

ომის დასაწყისში სტალინის სანახავად მივედი უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბში, მიასნიცკაიას ქუჩაზე. იმ დროს ის ძვალი და ტყავი იყო. მან მკითხა: „როგორ მიდის საქმეები?“

„ცუდად, — ვუპასუხე მე, იარაღს ვერ ვშოულობთ“.

სტალინი მესაუბრებოდა დინჯად დაბალ ხმაზე: „ყველანი რუსების ძლიერებაზე ლაპარაკობენ, ეხლა კი ნახე, რა ძლიერებიცა ვართ... ლენინმა სახელმწიფო დაგვიტოვა, ჩვენ კი ის სიმახინჯედ ვაქციეთ“...

იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ როგორი უიმედობით იყო იოსებ ბესარიონის ძე შეპყრობილი, გამოდგება ისიც, თუ როგორ ცდილობდა ეწარმოებინა საიდუმლო მოლაპარაკებანი ჰიტლერთან ომის განმავლობაში. ვფიქრობ, ეს ხდებოდა 1942 წელს. სტალინს უნდოდა მიეღწია შეთანხმებისათვის, რომლის მიხედვითაც გერმანელებს უფლება მიეცემოდათ დაეტოვებინათ მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები უკრაინაში, ბელორუსიაში და რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ნაწილებში. ერთ-ერთი ჩვენი სანდო პირი გაგზავნილ იქნა ბულგარეთში, რომ დაემყარებინა კონტაქტი იქ მყოფ გერმანელებთან და გადაეცა მათთვის რომ საბჭოთა კავშირი თანახმაა წავიდეს ტერიტორიულ დათმობებზე. პასუხი ჰიტლერისაგან ამის თაობაზე არ ყოფილა, ალბათ იმიტომ, რომ იგი ფიქრობდა საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილია და რაღა საჭიროა მოლაპარაკებებზე წასვლაო. ჰიტლერი პრაქტიკულად ყველაფერს უკვე თავის საკუთრებად თვლიდა.

რა თქმა უნდა, სტალინი თავს იმართლებდა იმით, რომ ეს მხოლოდ დიპლომატიური ფანდი იყო; გარკვეულ დროში იგი გააძლიერებდა თავის შეიარაღებულ ძალებს და ამის შემდეგ ბრძოლით დაიბრუნებდა იმას, რაც გასცა. ასეთი მახსოვს სტალინი ომის დროს, ხოლო გამარჯვების შემდეგ იგი მამალივით დაიბღარძლებოდა და სიამაყისაგან მკერდი გამოვარდნაზე ჰქონდა.

მე დღემდე ტკივილს განვიცდი ამ მოგონებების გამო, მე ვგრძნობ ტკივილს რუსი ხალხის გამო. ხოლო ისინი, ვინც სტალინს დადანაშაულებისაგან იცავდნენ, დღეს მხოლოდ ფერფლი არიან...

ჟურნალი „თაიმ“
1990 წ. ოქტომბერი.

# ჩვენ და მინი-ფეხბურთი

თბილისს კვლავ ეწვია მინი-ფეხბურთი... ფაქტი სახეზეა — მინი-ფეხბურთის პოპულარობა დღითიდღე იზრდება არა მარტო თბილისში, არამედ უკვე საქართველოს მთელი რიგი რეგიონებიც მოიცვა. როგორც იქნა, საქართველოში ამჟამად გვაქვს ოფიციალური ორგანიზაცია — საქართველოს მინი-ფეხბურთის დამოუკიდებელი ასოციაცია, რომლის დამფუძნებელი კონფერენციაც გაიმართა შარშანდელი წლის 28 სექტემბერს. ამ ასოციაციის პრეზიდენტად არჩეული იქნა ნოდარ წულაია, ვიცე-პრეზიდენტად — ზურაბ ალექსანდრია და სწორედ ამ უკანასკნელების თაოსნობითა და ინიციატივით კიდევ ერთი საინტერესო ტურნირიც ვიხილეთ.

ტურნირი, რომელიც ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის ვიტალი დარასელიას სახელობისა გახლდათ, მეტად წარმომადგენლობითი აღმოჩნდა.

მთელი ათი დღის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 20 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს საპატიო პრიზის მოსაპოვებლად.

სანამ დასკვნით შეხვედრებზე ვისაუბრებდეთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს დასავლეთ საქართველოს გუნდების საკმაოდ მაღალი დონე. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ დებულების თანახმად ტურნირში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და I ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებს, რამაც, ჩვენი აზრით, ოდნავ გააუფერულა მთელი შეჯიბრება...

...ნახევარფინალში კი მართლაც ღირსეული მეტოქენი გავიდნენ: „ნატანები“ — „ვაკე“ და „ბაღდათი“ — „რუსთავი“. თუმცა, პირველ წყვილში ბრძოლა, ფაქტიურად, არც ყოფილა — იმდენად აშკარა იყო ნატანებელთა უპირატესობა, რაც თვალნათლივ გამოხატა კიდევაც ანგარიშში — 4:1. აი, მეორე ფინალისტის გამოსავლენად კი უაღრესად დაძაბული და ნერვული ბრძოლის მოწმენი შევიქმენით. მთელი მატჩის განმავლობაში რუსთაველების უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, უკვე პირველ ტაიმშივე მიიღეს ბურთი საკუთარ კარში. მთელი მეორე ტაიმი რუსთაველთა იერიშებით წარიმართა და ბოლოსდაბოლოს სამართლიანობაც აღსდგა — შეხვედრის დამთავრებამდე 12(!) წამით ადრე ჯემალ შავეშიანმა ანგარიში გაათანაბრა და... ამის შემდეგ მოხდა ის არასასიამოვნო ინციდენტი, რომელზე გვერდის ავლაც არ შეიძლება.

რა თქმა უნდა, ძნელია, რომელიმე მხარე დაადანაშაულო და რომელიმე გაამართლო, ფაქტი ერთია მხოლოდ — ემოციებს ზოგჯერ დაოკება სჭირდება... დიახ, ჩვენს პრაქტიკაში ნამდვილად არ გვახსოვს სპორტის სასახლეში, პირდაპირ სარბიელზე გამართული ხელჩართული ბრძოლა ორივე გუნდის გულშემატკივრების მონაწილეობით და რომელიც რუსთაველთა აშკარა უპირატესობით დამთავრდა... ყველაფერი კი ასე დაიწყო — ბაღდათელთა გულშემატკივართა ერთი ნაწილი მთელი მატჩის განმავლობაში გამომწვევად იქცეოდა, ამის შემდეგ ერთ-ერთ რუსთაველ ფეხბურთელს ნერვებმა უმტყუნეს და „გადმოეშვა“ „ბაღდათის“ გულშემატკივართა ის ულირსი ნაწილი, მაგრამ ამ დროს რუსთაველებმაც სოლიდარობა გამოუცხადეს თავიანთ ფეხბურთელს და დანარჩენი კი უკვე ზემოთ მოგახსენეთ...

ფინალისტობა კი „ბაღდათის“ ფეხბურთელებს ერგუნათ, რომლებმაც მეტად აუღელვებლად და ოსტატურად შეასრულეს 7-მეტრიანი დარტყმები. და აი, გათამაშების ბოლო დღე. თავდაპირველად „ვაკემ“ და „რუსთავმა“ გაითამაშეს საპატიო პრიზი III ადგილის მოსაპოვებლად და ამასთან 2000 მანეთიც. აქაც, თითქოსდა, რუსთაველთა უპირატესობა გამოკვეთილი იყო, მაგრამ ბრწყინვალედ თამაშობდა „ვაკის“ მეკარე ირაკლი მინდელი, რომელიც სამართლიანად იქნა მიჩნეული ტურნირის საუკეთესო მეკარედ. ამ მატჩში მინდელმა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმაც მოიგერია და სწორედ ამის შემდეგ ვაკელმა კობა აფციაურმა გამარჯვების გოლი გაიტანა. აქვე, გვინდა, რომ „ვაკის“ გუნდის კიდევ ორი წევრი გამოვყოთ — გუნდის კაპიტანი გურამ დურგლიშვილი (ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი) და თბილისური მინი-ფეხბურთის ერთ-ერთი ვეტერანი ნოდარ გიგოლაშვილი.

...ფინალის დასაწყისი მეტად თანაბარი ბრძოლით წარიმართა. თუმცა ნელ-ნელა მაინც იკვეთებოდა ნატანებელთა უპირატესობა, რომელთა რიგებში, ისევე როგორც ყველა წინა შეხვედრაში, თავისი აუღელვებელი და ოსტატური თამაშით გამოირჩეოდა თემურ ღლონტი (რომელიც შემდეგ ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს). სხვათაშორის, ამ ტურნირზე სხვა პრიზებიც იყო დაწესებული. საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ბაღდათელი ბაკა კაკაბაძე, ყველაზე უხუცეს მონაწილედ ფოთელი გულო ჩემინავა (48 წლის) და ა. შ.

...ბევრს ცდილობდნენ ბაღდათელთა ლიდერები ბაკა კაკაბაძე და ზვიად ენდელაძე თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ იმ დღეს „ნატანების“ გუნდი შეუდარებელი იყო. და სრულებით ლოგიკური იყო, რომ ჯერ გოჩა რულუამ, შემდეგ კი ირაკლი დოლიძემ აიღეს მეტოქის კარი და თავიანთ გუნდს გამარჯვებასთან ერთად 10000 მანეთიც მოუტანეს. გუნდი კი ამ წარმატებისათვის მოამზადა მწვრთნელმა ავთანდილ თავდუმაძემ.

გია ტუხაშვილი



სურათზე: ტურნირის გამარჯვებული „ნატანების“ გუნდი. პირველ რიგში მარცხნიდან მეოთხე პატარა ვიტალი დარასელიაა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწორი პოპულარიზაციისათვის



თბილისის კინოთეატრ „ბათუმში" უკვე რამდენიმე თვეა, რაც თავს იყრის ინდური კულტურის მოყვარულთა ჯგუფი, რომელმაც თავისი თუნდაც არაოფიციალური არსებობის მცირე ხნის მანძილზე ბევრი კარგი საქმის გაკეთება მოასწრო. მათ გასული წლის 10 ოქტომბერს მოსკოვის კინოკლუბ „ახალი ინდოეთის" დახმარებით მოიწვიეს ინდოელ კინომოღვაწეთა დელეგაცია და გარკვეული კონტაქტები დაამყარეს მათთან. ჯგუფის ხელმძღვანელის, ნუგზარ ხიზანიშვილის აზრით ქართველი მაყურებელი არ იცნობს ინდურ კინოხელოვნებას, რადგანაც 70-წლიანმა რეჟიმმა, როგორც ყველგან, აქაც მძიმე მემკვიდრეობა დაგვიტოვა: ერი, რომელმაც უდიდესი ფილოსოფიის, ისტორიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის შექმნა შესძლო, ცხადია არც კინემატოგრაფში გამოიჩენდა უნიჭობას, მაგრამ ინდური კინოშედევრების ნაცვლად ჩვენთან მხოლოდ იმ ფილმების იმპორტირება ხდება, რომლებსაც, კინოფუნქციონირები თავიანთი ქვეყნის პროვინციათა ულარიბესი მასებისათვის ქმნიან. საჭიროა ქართველი მაყურებლის საზოგადოებრივი აზრის სწორად ჩამოყალიბება ინდური კინოს მიმართ.

გასული წლის 30 დეკემბერს კინოთეატრ „ბათუმში" ჩატარდა ინდური კულტურის საღამო, რომელსაც მაყურებელი უხვად დაესწრო. საღამო მიჰყავდათ დავით ბექიტაშვილსა და მადონა მიხელაშვილს. მოეწყო შოუ ნომრები.

ილუზიონისტმა და იოგმა ტარიელ ვაზაგაშვილმა ჯადოქრული ილეთებით განაცვიფრა მაყურებელი. ინდური ცეკვები შეასრულეს სამტრედიელმა თამრიკო ლამპარაძემ, თბილისელმა თამრიკო კურდღელაიამ, მცხეთელმა ეკა ჩუხტიაშვილმა; ჩატარდა ვიქტორინა თემაზე: „იცნობთ თუ არა ინდურ კინოს!" რაც ნანა გიორგობიანის გამარჯვებით დამთავრდა.

— საქართველოს მე განვიხილავ არა როგორც ევროპული ლოგიკისა და აზიური ინტუიციის შეუღლების ადგილს, არამედ როგორც ადგილს ლოგიკურ-ინტუიტიური აზროვნების ერთიანობისა, საიდანაც იწყება ამ აზროვნების კონტინენტალური დაშლა, მარცხნივ (ევროპა) ლოგიკად — ხოლო მარჯვნივ (აზია) — ინტუიციად, ამბობს ჯგუფის ყველაზე აქტიური წევრი რუსუდან მიქელაძე — ბოლო დროს შეიგრძნობა ქართველი საზოგადოების მარცხნივ (ევროპისაკენ) გადახრა. თუ ჩვენ არ შევახსენეთ ჩვენს ხალხს აზიური ინსტიტუტი, თუ არ შევალვიძეთ ქართველი ერის გენიალური სიღრმის ქვეცნობიერი ძალები, მაშინ ჩვენ დავკარგავთ იმ გენიალურ წონასწორობას, რომელიც მხოლოდ ჩვენ გვახასიათებს და რომელსაც ეგზომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველ მოაზროვნეთა ელიტა გრიგოლ რობაქიძის მეთაურობით. ამაში დიდ დახმარებას გაგვიწევს ინდური კულტურის სწორად პოპულარიზაცია საქართველოში.

ინდური კულტურის მოყვარულთა საინიციატივო ჯგუფის პირველთუპირველესი საკითხია იურიდიული სტატუსი, რის თაობაზეც ჯგუფი უახლოეს ხანებში წინადადებით წარსდგება საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინაშე. იმედი გვაქვს კულტურის სამინისტრო მხარს დაუჭერს ამ კარგ წამოწყებას.

**ზაზა ჯაფარიძე.**

**სურათზე:** თამრიკო ლამპარაძე.




## საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციითა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს მრავალშვილიან დედათა „ქართვლის დედის" საპატიო წოდების პრეტენდენტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია გადატანილია 20 თებერვლისათვის.

კონფერენცია თემაზე: „მრავალშვილიან ოჯახთა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები" დაიწყება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში 11 საათზე.

დელეგატთა წარმომადგენლობითი ნორმა.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თითოეულ რაიონული ორგანიზაციიდან 15-15 დელეგატი (მათ შორის 10 მრავალშვილიანი დედა).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს ეროვნული კონგრესის 20-20 დელეგატი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებიდან, შემოქმედებითი კავშირებიდან და პროფკავშირებიდან 10-10 დელეგატი.

დელეგატთა სიების წარმოდგენა ხდება საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმში ა. წ. 16 თებერვლის ჩათვლით, სია დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ.

სრულიად საქართველოს მრავალშვილიან დედათა „ქართვლის დედის" საპატიო წოდების პრეტენდენტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 19 თებერვალს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დედათა კომიტეტში. (თბილისი, კრილოვის ქ. № 4).

## სამთო მოთხილამურეთა საყურადღებოდ!

ვისაც გსურთ თხილამურებზე სამაგრების სასწრაფოდ დაყენება, შეგიძლიათ მიმართოთ გამოცდილ სპეციალისტებს მისამართზე:

დიღმის მასივი, მე-3 კვ., 39-ე კორპ., მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 64, საფეხბურთო სკოლა „ავაზას" პირდაპირ

**სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"**

## თბილისის უნივერსალური (სასაქონლო-ნედლეულო, საფონდო და სავალუტო) ბირჟა

სააქციო საზოგადოების „თბილისის უნივერსალური ბირჟა" დამფუძნებელთა საბჭო გაცნობებთ, რომ გრძელდება აქციებზე ღია ხელმოწერა.

ბირჟა იქმნება საქონლის, ნედლეულის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბაზრის განვითარების მიზნით. იგი ორგანიზაციას გაუწევს მატერიალური რესურსების და ნედლეულის, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სურსათის, სახალხო მოხმარების საგნების საბითუმო ვაჭრობას და აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით და უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებას.

ბირჟის საწესდებო ფონდის სავარაუდო ოდენობაა — 20 მილიონი მანეთი. საწესდებო ფონდი დაყოფილია 100 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულების 200 აქციად. მათ შორის 180 უბრალო სახელობითი აქციაა, 20 — კი პრივილეგირებული სახელობითი.

ბირჟის უბრალო აქციების მფლობელებს აქვთ უფლება ბირჟის მართვაში მონაწილეობისა, დივიდენდის (ბირჟის შემოსავლის ნაწილის) მიღებისა და აგრეთვე ექნებათ ბირჟაზე სავაჭრო ოპერაციების განხორციელების საშუალება.

აქციებზე ხელმოწერის საბოლოო ვადაა 1991 წლის 1 მარტი. დამფუძნებელი კონფერენცია შედგება 1991 წლის 6 მარტს.

ბირჟის აქციონერობის მსურველმა იურიდიულმა და კერძო პირებმა დამფუძნებელი კონფერენციის ჩატარებამდე უნდა შეიტანონ აქციის ნომინალური ღირებულების 30 პროცენტის ოდენობის თანხა საანგარიშსწორებო ანგარიშზე **№ 60900085, კოდი 805227** საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკში.

ბირჟის შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეიძლება სამუშაო დღეებში 10-დან 16 საათამდე შემდეგ მისამართზე:

თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, სასტუმრო „აჭარა", ბირჟის საორგანიზაციო კომიტეტი.

**ტელ: 36-90-89, 36-94-80, 93-73-10.**

## 25 წელი ქართული როკ-ჯგუფები როკ-მუსიკის სამსახურში

ი. ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი გიწვევთ სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 14-15-16-17 თებერვალს ჰიტ-პარადზე.

**სპონსორები:** ამერიკა-საქართველოს ერთობლივი შემოქმედებითი გაერთიანება „ლიმეო-არკს", ფირმა „არგო", ფირმა „ვესტა".

შემოსავალი გადაირიცხება სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

## ხევსურეთის თემთა საბჭოს განცხადება

ხევსურეთის თემთა საბჭო შეხვედრას აწყობს თბილისში მცხოვრებ ხევსურებთან 16 თებერვალს 12 საათზე ქალაქის საბინაო სამმართველოს შენობაში.

მისამართი: წერეთლის გამზირი 67-ა.

ის, ვინც ვერ შესძლებს ამ შეკრებაზე გამოცხადებას, ვთხოვთ თვის ბოლომდე ნებისმიერ დღეს 12 საათიდან 21 საათამდე მიაკითხონ შემდეგ მისამართზე:

ნუცუბიძის 127. კოოპერატივი „ელექტრონი-88".

**ტელეფონი: 39-52-82.**

## ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესავსებად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს", რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი" თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის № 15-ში გამოქვეყნებული წერილის „შიდა ქართლი", ბოლო სვეტის 38-ე სტრიქონში XX საუკუნის ნაცვლად უნდა იყოს XIX საუკუნე.

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-61; პასუხისმგებელი მდივანი — 93-21-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიზანაულის 29.
№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15
Наш индекс 68400

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი — 380096. ვ. კოსტავას ქ. № 14.